140
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

11
1971



ვ. ი. ლენინი.
გრავიურა.
ვ. ნოსკოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სმოლნში

მოთხრობა „ლენინის ცხოვრების“ ნაწყვეტი

მ. პრილეჟაევა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

იქ, სადაც მდინარე ნევა მკვეთრად უხვევს და ლადოგის ტბისაკენ მიექანება, ოდესღაც ფისის სახარში იდგა. ფისს უზარმაზარ როფებში ხარშავდნენ და იქვე ინახავდნენ გემთშენებისათვის. გემების საშენებელი საწარმოები ნევის იმავე ნაპირის გაყოლებაზე იყო განლაგებული.

შემდგომში, ფისის სახარშის ადგილას მონასტერი ააშენეს, მოგვიანებით კი — კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. თითქმის ერთ მეოთხედ ვერსზე იყო გაჭიმული სამსართულიანი, მკაცრი იერის შენობა, რომელსაც კოხტა სვეტები, მარმარილოს კიბე და თაღებქვეშ ფართო გასასვლელები ჰქონდა. ფისის სახარშისაგან დაერქვა ინსტიტუტსაც სმოლნი*.

ცხრაასჩვიდმეტ წელს, მეფე რომ ჩამოაგდეს, ინსტიტუტის სტუდენტები შინ გაუშვეს. სმოლნში პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მოთავსდა. სმოლნში იყო აგრეთვე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტიც.

სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს ყველა ქარხანასთან ჰქონდა კავშირი. ქარხნებში წითელგვარდიელთა მებრძოლ რაზმებს აყალიბებდა. ოცი ათასი პეტროგრადელი მუშა შეიარაღებული იყო და მხოლოდ აჯანყების დაწყების ბრძანებასღა ელოდა. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ბალტიის ფლოტის მეზღვაურებთან გზავნიდა ბოლშევიკ კომისრებს ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ სააგიტაციოდ. მეზღვაურები საბრძოლველად იწევდნენ. ჯარისკაცთა მთელი პოლკები გადადიოდნენ ბოლშევიკებისა და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მხარეზე.

დროებითი მთავრობა კი რას აკეთებდა? დროებით მთავრობას ბოლშევიკებისა და მუშების ეშინოდა.

„მუშებს ეკრძალებათ იარაღის ტარება! — გამოსცა დროებითმა მთავრობამ მკაცრი კანონი. — დაპატიმრებულ იქნან კომიტეტის წევრები! მოიძებნოს ლენინი და დამწყვდეულ იქნას კაზემატში**“.

რა თქმა უნდა, დროებითი მთავრობა გულხელდაკრეფილი არ იჯდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა ძალების მოკრებას, თავის ჯარებს თავს უყრიდა პეტროგრადთან, ალყას არტყამდა მას.

ლენინმა ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგებს მისწერა: „არ შეიძლება აჯანყების გადადება! დაჰკრა საათმა!“

ოცდაოთხ ოქტომბერს ვლადიმერ ილიას ძემ კვლავ გაგზავნა წერილი ცენტრალურ კომიტეტში. წერილი ბინის პატრონმა მარგარიტა ვასილის ასულმა ფოფანოვამ წაიღო და პასუხიც მოიტანა. ცენტრალური კომიტეტი უფლებას არ აძლევდა ლენინს იატაკქვეშეთიდან გამოსულიყო. ყოველ ოფიცერს შეეძლო დაეხვრიტა ან ხმლით აეჩეხა ლენინი, თუ მას ქუჩაში დაინახავდა. ამხანაგები უფრთხილდებოდნენ ლენინს.

მაგრამ რატომ არ იწყებს აჯანყებას სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი? ხვალ, 25 ოქტომბერს, სმოლნში საბჭოების მეორე ყრილობა იხსნება, დელეგატები ყველა ქალაქიდან ჩამოვიდნენ პეტროგრადში.

„აუცილებელია აჯანყება დაიწყოს დღესვე, ყრილობის გახსნამდე, — ფიქრობდა ვლადიმერ ილიას ძე. — დროებითი მთავრობა უნდა დაემხოს და ხვალ ძალაუფლება საბჭოებს გადაეცეს“.

ასე ფიქრობდა ლენინი. მაგრამ გადიოდა საათები. ლენინმა ისევ გაგზავნა წერილი ცენტრალურ კომიტეტში. არა, არ იწყებდნენ ისინი აჯანყებას. ჰოი, რა მოუსვენრობამ შეიპყრო ვლადიმერ ილიას ძე! ამ თეთრ ბინაში, სერდობოლსკის ქუჩაზე, ისე იყო იგი ჩაკეტილი, როგორც გალიაში. თავის ნებაზე ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეიძლება: კედლის იქით გაიგონებენ. იტყვიან, ვინ არისო ფოფანოვასთან?

საღამოს ფოფანოვა სამსახურიდან დაბრუნდა. ვლადიმერ ილიას ძე აღელვებული შეხვდა მას.

— გეთაყვა, წაიღეთ კიდევ ერთი წერილი. დაუყოვნებლივ, ამ წუთშივე. არ გაიხადოთ, გეთაყვა. მე ახლავ...

და ლენინი სწრაფად შევიდა თავის ოთახში. მან ცენტრალური კომიტეტის წევრებს მისწერა:

„ამხანაგებო!

ამ სტრიქონებს ვწერ 24-ის საღამოს, მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია. ცხადზე ცხადია, რომ ამჟამად, უკვე ნამდვილად, აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის“.

შემდეგ იგი სწერდა, რომ საჭიროა ახლავე შეიარაღებული გამოსვლა, დროებითი მთავრობის დამხობა, ძალაუფლების ხელში აღება. ისტორია არ გვაპატიებს, თუ დღესვე არ დავიწყეთ, ხვალ შეიძლება უკვე გვიან იყოსო.

— მალე წაიღეთ წერილი! — აჩქარებდა ლენინი ფოფანოვას.

* სმოლა (რუს.) — ფისი.

** კაზემატი — რევოლუციამდელ რუსეთში ერთი ადამიანის განცალკევებით დასამწყვდევი საკანი ციხე-სიმაგრეში (ჩვეულებრივ, პოლიტიკური პატიმრებისათვის).

პიონერი

11

ნოემბერი

1971

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

და ვლადიმერ ილიას ძე კვლავ მარტოკა დარჩა. რაოდენ მოუსვენრობას გრძნობდა! დაჯდა, რაღაცას მიაყურადა. და უცებ, მართლაც, შემოსასვლელის კარიდან ზარის ხმა მოისმა. მეკავშირე ეინო რახია მოვიდა.

— რომ იცოდეთ, ვლადიმერ ილიჩ, რა ამბავია ქალაქში!

ქალაქში კი აი რა ხდებოდა: ყინულლიანი, უამური საღამო იყო. ნევიდან მძაფრი ქარი მოიჭრა. ქუჩები მრუმე ნისლმა დაბურა. ან სველი ფანტელებით თოვდა, ან გულის გამწყალებლად სცრიდა. სცრიდა და სცრიდა. მაგრამ ადამიანები მაინც ხან აქ, ხან იქ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ. ზოგჯერ ჯარისკაცებით ან შეიარაღებული მუშებით სავსე სატვირთო ავტომობილი ჩაიქროლებდა, ზოგჯერ სადღაც თოფი გავარდებოდა, ტყვიამფრქვევი დაიკაკანებდა. შემდეგ კვლავ მიწყნარდებოდა ყოველივე, დაძაბული სიჩუმე დგებოდა.

ხიდების მახლობლად კოცონები ენთო, იქ წითელგვარდიელები გუშაგობდნენ. იმ დღეს დროებითმა მთავრობამ განკარგულება გასცა, ნევაზე ხიდები გაეხსნათ. მაშინვე მოაჭენეს ცხენები იუნკრებმა, გამვლელები ხიდებიდან გარეკეს, მოძრაობა შეაჩერეს.

მხოლოდ ერთი, ნიკოლაევის ხიდი გახსნეს, — ჩვენებმა მოუსწრეს. გუდა-ნაბადი აუკრეს იუნკრებს.

უბედურება იქნებოდა, იუნკრებს ხიდები რომ გაეხსნათ: ქალაქის ყველა რაიონი ერთმანეთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა. ცალ-ცალკე კი რევოლუციონერ მუშებს იუნკრები გაანადგურებდნენ.

აი, რა უამბო ვლადიმერ ილიას ძეს მეკავშირე ეინო რახიამ.

ვლადიმერ ილიას ძემ ჩუმად მოუსმინა. ცოტა ხანს ისევ დუმდა, შემდეგ სწრაფად წამოდგა სკამიდან, სიტყვაც არ უთქვამს, ისე გამოიღო კომოდიდან თავისი ძველი პარიკი. „ნეტა რას აპირებს?“ — შეშფოთდა რახია. პარტიამ მას დაავალა ლენინის დაცვა, მას, ბოლშევიკ მუშას ეინო რახიას.

— საით, ვლადიმერ ილიჩ?

— დაუყოვნებლივ სმოლნში! — მტკიცედ მიუგო ვლადიმერ ილიას ძემ.

— კი მაგრამ, მოგკლავენ. იუნკრებს შევეჩეხებით, დაგხვრეტავენ.

ვლადიმერ ილიას ძე არ შედავება. მან სარკესთან პარიკი მოირგო, ძველი პიჯაკი და პალტო ჩაიცვა. რახია, მიხვდა, უკვე ველარაფერს გავხდებით, და თვითონაც გაემზადა.

ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრეს: ვლადიმერ ილიას ძეს ყბა უნდა აეხვია, ვითომ კბილი სტკივაო, მაშინ უკვე ძალიან ძნელი იქნებოდა მისი ცნობა.

ამასაც რომ მორჩნენ, გარეთ გამოვიდნენ. ვლადიმერ ილიას ძე სმოლნში წავიდა.

# დაიწყო

ადვილი სათქმელია — წავიდა. სერდობოლსკიდან სმოლნამდე ათი ვერსია! ტრამვაის ნასახიც არა ჩანს. ადამიანები მიმალულან. უკუნი სიბნელეა. ჭირს თოვლჭყაპში სიარული. ქარი სახეს წვავს.

ვლადიმერ ილიას ძე მიდიოდა ოდნავ თავდახრილი, მკერდი ქარისთვის მიეშვირა. გრძელფეხება ეინო ძლივს უსწორებდა ნაბიჯს.

— სდექ, სდექ! — მთელი ხმით დაიყვირა ეინომ, როცა ტრამვაის მოჰკრა თვალი.

ტრამვაი გაჩერდა. ორივენი კიბის საფეხურზე ახტნენ. თითქმის ცარიელი ტრამვაი პარკში მიდიოდა. ბედმა გაუღიმათ. ნახევარ გზას მაინც გაივლიან ტრანსპორტით.

ვლადიმერ ილიას ძე ფხიზლად იყურებოდა . შემოდგომის ღამის სიბნელეში. შეიარაღებული ჯარისკაცებით გატენილი სატვირთო მანქანა გაუსწორდა ტრამვაის და წინ გაიჭრა. კიდევ ერთმა სატვირთომ ჩაიქროლა.

— კარგი დღე არ დაადგებათ ბურჟუებს, — თქვა ვილაცამ.

— პარკისკენ ვუხვევთ, ჩამოდით, — გამოაცხადა კონდუქტორმა ქალმა.

ვლადიმერ ილიას ძე და ეინო რახია სიბნელეში კვლავ ფეხით გაუყვნენ გაუკაცრიელებულ ქუჩებს. ოღონდ კი იუნკრებს არ გადააწყდნენ!

და აჰა, ქვაფენილზე ფლოქვების თქარა-თქური გაისმა. ორი ცხენოსანი იუნკერი გადაუდგა წინ მათ.

— საშვები!

ერთმა ცალი სადავე მაგრად მოსწია. კისერმოღრეცილი ცხენი ერთ ადგილზე დატორტმანდა.

— საშვები! — მოითხოვდა იუნკერი, რომელსაც ცხენი რახიაზე მიეგდო.

მოხუცისთვის იუნკერს ყურადღებაც არ მიუქცევია. რას უნდა გამორჩენოდნენ ბერიკაცს? ახვეულ ყბაზე ხელმიდებულმა ბერიკაცმა კი ატორტმანებულ ცხენს გვერდით ჩაუარა.

— რა საშვები, რისი საშვები? — ვითომდა გულუბრყვილოდ კითხულობდა რახია, ცდილობდა დრო მოეგო, სანამ ლენინი მათ გაეცლებოდა. — აზრზეც არა ვარ, სად უნდა იშოვოს კაცმა იგი. მერე და რისთვის? უსაშვებოდაც იცნობა მუშა. — რახია უკვე ჯიბეში რევოლვერს ხელს უჭერდა.

იუნკერმა რახიაზე გინებით აღმართა მათრახი.

— მოეშვი ერთი მაგას, — დაუძახა მეორემ.

ორივემ ცხენები გააქროლეს. ეინო რახია სირბილით წამოეწია ვლადიმერ ილიას ძეს.

— გმადლობთ, — მოკლედ უთხრა ვლადიმერ ილიას ძემ.

სმოლნის წინ ვრცელი მინდორი, სადაც აქა-იქ წვრილი ხეები და ბუჩქები იდგა, ხალხით გავსებულიყო. იწვოდა კოცონები და ცისკენ ბღუჯა-ბღუჯა ადიოდა ნაპერწკლები. კოცონებთან ჯარისკაცები ტრიალებდნენ, თბებოდნენ. ზედიზედ მოდიოდნენ სატვირთო მანქანები. მანქანებიდან შეიარაღებული მეზღვაურები და მუშები ხტებოდნენ, სმოლნში მიეზვირთებოდნენ. ბატონკაცურ პალტოსა და ფეტრის ცილინდრს თვალს ვერსად მოჰკრავდით. ყველანი უბრალო ადამიანები იყვნენ.

მინდვრიდან შიგადაშიგ ისმოდა კომანდა:

— რაზმო, მოე-წყვე!

ისმოდა ძახილი:

— პუტილოველები სად არიან? გამოგვეხმაურეთ, პუტილოველებო!

— ძმებო, სემიანიკოველები ხომ არ დაგინახავთ?

ხალხი გუგუნებდა. მთელი მინდორი ამოძრავებულიყო. სმოლნის კიბესთან ქვემეხები იდგა. შესასვლელს გუშაგები ყარაულობდნენ. ჩახჩახებდა სმოლნის გრძელი შენობის ყველა ფანჯარა. დიდებული სანახავი იყო გაკაშკაშებული სმოლნი და ალ-



გზნებული, თვალებანთებული ადამიანები.

ვლადიმერ ილიას ძეს მძლავრად უცემდა გული. დადგა დღე, რომლის გულისთვისაც ცოცხლობდა იგი.

ისინი შეუშვეს სმოლნში. ეინო რახიას სმოლნში შესასვლელი საშვებები აღმოაჩნდა, მართალია, არცთუ ნამდვილი საშვებები, მაგრამ, არა უშავსო, თქვეს, ჩვენები არიანო.

ვლადიმერ ილიას ძემ, რომელსაც ბერიკაცის პარიკი არც კი გახსნებია, გახსნილი პალტოთი, ჯიბეში ხელებჩაწყობილმა სწრაფად გაიარა ხალხით, ვაზნის ყუთებითა და შაშხანის შტაბელებით გაჭედილი დერეფანი. შემდეგ მესამე სართულზე, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ოთახისკენ აირბინა. კომიტეტის ყველა წევრი იქ იყო — სხდომა მიმდინარეობდა. ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი იჯდა. მდივანი ოქმს წერდა. აგერ უკვე ნახევარი დღე-ღამე იყო, რაც შეუსვენებლად მიმდინარეობდა სხდომა. აჯანყების გეგმას იხილავდნენ.

წამდაუწუმ შემორბოდნენ წითელი გვარდიის, სამხედრო ნაწილებისა და ქარხნების მეკავშირეები.

ლენინი შემოვიდა ოთახში. კეპკა მოიხადა. კეპკასთან ერთად პარიკიც მოეხსნა. მოეხსნა სამუდამოდ — მან უკვე მოიხადა სამსახური.

— ლენინი! — იცნო ყველამ.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ილიას ძე პოდვოისკი, მაღალი, ხმელხმელი კაცი, წვერგაჩეჩილი და უძილობისაგან თვალებანთებული, მივარდა ლენინს:

— ვლადიმერ ილიჩ!

— დაყოვნება სიკვდილს უდრის! —სწრაფად, მტკიცედ თქვა ვლადიმერ ილიას ძემ. — ხელში უნდა ჩავიგდოთ ტელეგრაფი, სატელეფონო სადგური, ვაგზლები, ხიდები. დაუყოვნებლივ. ახლავე. ამაღამვე.

მეკავშირეები შემოცვივდნენ ოთახში, სადაც მოთავსებული იყო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რევოლუციის შტაბი და, სადაც ლენინი მოვიდა.

— ლენინი მოვიდა! ლენინი! — ხმა გავარდა მთელ სმოლნში.

მეკავშირეები შემოდიოდნენ და ბრძანებებს იღებდნენ. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ბრძანებდა, ხელში ჩაეგდოთ ტელეგრაფი, სატელეფონო სადგური, ვაგზლები, ხიდები, ხელში ჩაეგდოთ მთავრობის ყველა დაწესებულება.

— წითელო გვარდიავ, მოე-წყვე! — ქუხდა მინდორში სმოლნის წინ.

ბრიალებდა კოცონები. შეიარაღებული მუშებით სავსე სატვირთო მანქანები მიეშურებოდნენ ოქტომბრის უკუნი ღამის წყვდიადში. მიდიოდნენ ჯარისკაცები და მეზღვაურები.

24-ის ღამით, 25 ოქტომბრისათვის შეიარაღებულმა პროლეტარიატმა და რევოლუციურმა ჯარებმა დაიკავეს პეტროგრადი, რუსეთის დედაქალაქი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

თარგმნა ს. გეჩოლმა.

# ვინაც ომის დროის ყანსა- ზვავი გვეკითა...

მურამ ბახტაძე

ჩვენ სკოლის ჭიშკართან ვიდექით და სახეგაბრწყინებულნი შევყურებდით მათ ორი დღის წინათ ჰოსპიტალში კონცერტი გავმართეთ და პიონერული თვითმოქმედება ვუჩვენეთ. სცენიდან რომ ჩამოვედით, მებრძოლებმა გულში ჩაგვიკრეს და გადაგვკოცნეს.

დიდი სამამულო ომის მძიმე ბრძოლების ხანა იყო, ყოველ დილით მღელვარებით ვუსმენდით რადიოს და თვალწინ გვედგა მტრისაგან აოხრებული ქალაქები და სოფლები. სასურსათო ბარათებით დღეში ოთხას გრამ პურს ვიღებდით, ქუჩები ღამე ჩაბნელებული იყო. სარკმელებზე სქელი ფარდები გვქონდა ჩამოფარებული, მინებზე კი გარდიგარდმო ქაღალდის ზოლები იყო გაკრული.

ჩვენი სკოლის სამსართულიან შენობაში რადგან ჰოსპიტალი იყო, ჩვენ მეზობელ სკოლაში, მეორე და მესამე ცვლად ვიყავით შეხიზნულნი. ხშირად გაკვეთილები შეღამებისას გვიმთავრდებოდა, მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ ასე იყო საჭირო — ომმა ჩვენ ერთბაშად დაგვავაჟკაცა და დიდებად გვაქცია. როცა ომში წასული მამაკაცების ნაცვლად ქალებმა ხელში თოხები აიღეს და ყანებში გავიდნენ, ბევრი არ გვიფიქრია, ჩვენც მხარში ამოვუდექით, პატარები ხართო, არავის უთქვამს, მათი ნდობა ძალასა და რწმენას გვმატებდა. ხანდახან ხელმეორედაც ვთოხნიდით ხოლმე გათოხნილ კვლებს, რადგან ზოგი ჩვენთაგანი თოხის ტარის სიმაღლისაც არ იყო, მაინც არაფერს ვეპუებოდით, ერთ სარეველასაც არ ვტოვებდით სიმინდის ყანაში. ასე გვეგონა, რომ იმ წუთს ომში მყოფი ჩვენი მამები და უფროსი ძმები გვხედავდნენ, გვემადლიერებოდნენ და მოსწონდათ ჩვენი სიყოჩაღე!

მართლაც, განა მათი სახელით არ იყო, რომ კომკავშირის რაიკომის მდივანმა გრიგოლ ჭავჭანიძემ კიროვის სახელობის რაზმის პიონერებს ყანაში მუყაითი შრომისათვის სამახსოვრო ვიმპელი გადმოგვცა. სწორედ ის ვიმპელი, სევასტოპოლელმა მეზღვაურებმა რომ გამოუგზავნეს ჩვენი რაიონის ახალგაზრდებს ალყაშემორტყმული ქალაქიდან.

სათუთად ჩავიბარეთ მეზღვაურული ვიმპელი და საკლასო ოთახში ყველაზე საპატიო ადგილას მოვათავსეთ. რომ შევხედავდით, ფრონტისათვის, სამშობლოსათვის კიდევ უფრო მეტი გვინდოდა გაგვეკეთებინა. ჩვენი მშობლები ხშირად შაბათობებსა და კვირაობებს აწყობდნენ, უსასყიდლოდ მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და გამომუშავებული თანხა „თავდაცვის ფონდში" შეჰქონდათ. ამ თანხით აგებდნენ თვითმფრინავებსა და ტანკებს. პიონერებმაც გადავწყვიტეთ ჩვენი წვლილი გაგვეღო. — სიმღერები და ცეკვები შევისწავლეთ, პატარა პიესა მოვამზადეთ და ივანდიდში, წითელვარსკვლავში, ნახახულევსა და სხვა სოფლებში რამდენიმე ფასიანი წარმოდგენა გავმართეთ. მთელი შემოსავალი — ათი ათასი მანეთი — „თავდაცვის ფონდში" გადავრიცხეთ. წარმოდგენები გვიან იწყებოდა. ვიდრე ყანიდან დაბრუნებული გლეხები ივახშმებდნენ და კლუბში თავს მოიყრიდნენ, თითქმის შუაღამე დგებოდა, ძილი გვერეოდა, მაგრამ თავს ფრონტზე წარმოვიდგენდით ხოლმე, თვალებს მოვიფშვნეტდით და ფარდას მაინც ვხსნიდით. კონცერტის შემდეგ ერთმანეთს სახლამდე ვაცილებდით — ჯერ ადელი და გულნარა მებუკეებს მივყვებოდით



ეს ფოტოსურათი 30 წლის წინათ არის გადაღებული, როცა შეხვედრა მოვუწყეთ ხასანის ბრძოლების გმირს, პოლკოვნიკ ალექსანდრე კუჭავას.

ქიშკრამდე (ისინი ყველაზე ახლოს ცხოვრობდნენ), შემდეგ ნათელა ნიჟარაძეს და ნინო კეჟერაძეს, ზაირა ხორავასა და ეთერ ჭავჭანიძეს, სულ ბოლოს კი მესამეკლასელ ლეილა რატიანს, რომელიც ყველაზე პატარა იყო, მაგრამ ლექსებს ისე კარგად ამბობდა, რომ მაყურებლის ყურადღებას იპყრობდა.

ლეილა რატიანი, რომელიც დღეს წულუკიძის 1-ლ სკოლაში რუსულ ენას ასწავლის, 1941 წლის მრისხანე შემოდგომაზე მივიღეთ პიონერთა რიგებში ჩვენი რაზმის წევრებმა. მან და მისმა თანაკლასელებმა — რუსუდან სანოძემ, ლეილა ღურჭუმელიამ და სხვებმა საზეიმო დაპირება ჰოსპიტალში, დაჭრილ მებრძოლთა წინაშე წარმოთქვეს და სწორედ წითელარმიელებმა გაუკეთეს მკერდზე ალისფერი ყელსახვევი. ლეილა რატიანის მამა სევასტოპოლში იბრძოდა. როცა ერთერთმა მეთაურმა (სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი არ მახსოვს) ლეილას პიონერად გახდომა მიულოცა და გადაკოცნა, გოგონას გული აუჩუყდა და წამწამები ცრემლებით შეენამა.

მებრძოლებმა შემოგვფიცეს, რომ ფაშისტების ტანკებს ჩვენამდე არ მოუშვებდნენ. მართლაც, მეორე დღეს მორჩენილ დაჭრილთა დიდი ნაწილი ფრონტზე წავიდა და, როგორც შევიტყვეთ, ვაჟკაცურად იდგა თავდაცვის ზღუდეზე; დაიღუპა ის მეთაური, ლეილა რატიანს ყელსახვევი რომ შეუნასკვა მკერდზე, გმირთა სიკვდილით დაეცა ბევრი სხვა მებრძოლიც... მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა, მაგრამ კიროვის სახელობის რაზმის პიონერებს ახლაც თვალწინ გვიდგას იმ მებრძოლთა სახეები და, როცა გამარჯვების დღეს რადიოთი და ტელევიზიით დუმილის წუთი ცხადდება, ჩვენ იმ მებრძოლებზეც ვფიქრობთ... ისინი ხომ იმისათვის დაეცნენ, რომ შემდგომ თაობებს ბედნიერად ეცხოვრათ...

ჩვენი ქალაქის მახლობლად სხვა ევაკოჰოსპიტალი იყო პიონერთა სახლის აქტივისტებს კომკავშირის რაიკომმა იქ კონცერტების გამართვა დაგვავალა. საგულდაგულოდ შევისწავლეთ რუსული შაირები, მეზღვაურული ცეკვები, რუსულ ენაზე ცოცხალი გაზეთიც მოვამზადეთ. ჩვენი გამოსვლა რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო, სამხედრო ნაწილების გაზეთები მოვძებნეთ და იქ მოთავსებული ფრონტული იუმორიც გამოვიყენეთ.

ჰოსპიტალში რომ შევედით, პირველად აქაც გულზე სევდა შემოგვაწვა — უჩვეულო იყო მძიმე დაჭრილების ნახვა, ბევრს ფრონტზე მყოფი მამა, უფროსი ძმა ან ახლო ნათესავი წარმოუდგა თვალწინ. მაგრამ დაჭრილების თბილმა სიტყვებმა, მათმა გულითადმა შეხვედრამ მალე გვაგრძნობინა, თუ რა მტკიცე და შეურყეველი იყო საბჭოთა ჯარისკაცების განწყობილება და ჩვენც შეკრთომა დავძლიეთ, მებრძოლებს შინაურულად გავესაუბრეთ, ხილით გავუმასპინძლდით და კონცერტიც დავიწყეთ. მანამდეც ბევრჯერ გამოვსულვართ სცენაზე, მაგრამ ასეთი რამ კი უჩვეულო იყო ჩვენთვის — ტაშს გვიკრავდნენ დაჭრილები. ვისაც ცალი ხელი შეხვეული ჰქონდა, კედელზე ურტყამდა მარჯვენას, ზოგი ფეხების ბრახუნით გამოხატავდა მოწონებას და ზოგიც — შეძახილებით. ბევრმა დარბაზში ჩამოსვლა ვერ შეძლო და მათთვის პირდაპირ პალატებში გავმართეთ ცეკვა-სიმღერა, წავიკითხეთ ლექსები. მას შემდეგ 28 წელიწადი გავიდა, მაგრამ მაშინდელ პიონერებს ის სამი კონცერტი ახლაც თვალწინ გვიდგას.

არც ის დაგვავიწყდა, რა გატაცებით ვაგროვებდით მებრძოლებისათვის ფრონტზე გასაგზავნ საჩუქრებს. გოგონები წინდებსა და ხელთათმანებსაც ქსოვდნენ, ბიჭები შევნატროდით მათ, რომ საშუალება ჰქონდათ ასე უშუალოდ გამოეხატათ სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა ჯარისკაცების მიმართ. უნდა გენახათ რა დიდი ზეიმი გვქონდა, როცა ფრონტიდან სკოლაში ჩვენს საჩუქრებზე წერილი მოვიდა, რომელშიც № ნაწილის მებრძოლები მადლობას გვითვლიდნენ ამანათისათვის. საველე ფოსტის ბეჭდიანი წერილი პიონერთა ოთახში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გავაკარით — ის ხომ ჩვენ ფრონტის წინა ხაზთან გვაკავშირებდა!

●

ქვემო მაჩხაანელმა ფორე მოსულიშვილმა ფაშიზმის ტყვეობას თავი დააღწია თუ არა, იტალიელ პარტიზანებს შეუერთდა. ქართველ ვაჟკაცს მამაცობისათვის, სიკვდილის შემდეგ, იტალიის მთავრობამ ეროვნული გმირის საპატიო სახელი მიანიჭა. პოეტმა ვ. გორგანელმა სახელოვან თანამემამულეზე წიგნი დაწერა და უწოდა „ფორე". ეს ლექსი ამ წიგნიდან არის ამოღებული.

●

ვახტანგ გორგანელი

## ფორე და იტალიელი ბიჭი

ნუ ტირი — ვიცი გაწუხებს.
ბოღმა, შიში და შიმშილი.
მეც მყავს შენებრ კოჩორა,
შენებრ შავტუხა დისშვილი.
იცი რა მარჯვე ბიჭია,
ლექსები იცის იმდენი...
ახლა რომ მშვიდობა იყოს; —
ერთმანეთს დაგაჭიდებდით.
ბავშვს თავზე ხელი გადუსვა,
ჰკითხა გვარი და სახელი
და მისცა უკანასკნელი
პურის პატარა ნატეხი.
— მამა სადა გყავს, დისშვილო?
— მტერმა დაჭრილი შეიპყრო.
— დედა მშობელი სადღაა?
— მომიკლეს ჩემი დედიკო.
— და-ძმა არა გყავს?
— მყავდა და,
დედას მოჰგლიჯეს მკერდიდან.
ბავშვი ცრემლებმა დაახრჩო
აქვითინდა და ატირდა.
— ნუ ტირი, ჩემო დისშვილო! —
ეტყვის და აწვდის მათარას.
— ძია, ეგ თოფი მომეცი! —
ემუდარება პატარა.
— თოფი რად გინდა, დისშვილო?
სიკვდილის ანაწერია,
— უნდა ვესროლო მუსოლინს,
ის იტალიის მტერია.
— აჰა, და მიბოძებია,
მტერს შეუტიე, დაჰკარი. —
ეტყვის ფორე და პატარას
მკერდს დაუმშვენებს ვარსკვლავით.
მერე შიგ გულში ჩაიკრავს,
ჩაჰკოცნის, გაეღიმება
და დროშასავით ზე აწევს
მომავლის რწმენის იმედად.



# მარცვალა და ხარისთვალა

**ქეთევან ჭილაშვილი**

მხატვარი დარეჯან ჭილაშვილი.

მარცვალა ერთი თითისტარა გოგოა, ისეთი გაწნაკული, ისეთი გაღნაპული, გეგონება, რომ შეუბერო, წაიქცევაო! მაგრამ, ნურას უკაცრავად, თავის ტოლებს არაფერში ჩამოუვარდება, ოჯახში ჯარასავით ტრიალებს. ჯერ მარტო იხვის სამი ჭუჭულის გამოზრდა ხუმრობა საქმეა?! მერე ისიც, ისეთი მაცაცერებისა, როგორებიც ისინი არიან! ერთი აღმა დაადებს თავს, მეორე — დაღმა, მესამეს წყლისკენ მიურბის ჭკუაგონება.

— აჭუკა, აჭუკა! — შეუძახებს მარცვალა იხვის ჭუჭულებს და ჰაერში შეიქნევს ტირიფის წნელს, ხან აქედან წამოურბენს, ხან იქიდან და ძლივს-ძლივობით, ერთი წიოკობითა და წყევლა-კრულვით გადმორეკავს ხოლმე ჭალაში.

მოსდევს მარცვალა თავის სამწყემსოს და მოაწკაპუნებს იმ თავის წითელ წკაპუნებს: წკაპ-წკუპ! ...წკაპ-წკუპ! მტვრის პაწია ქულები იშლება ბილიკზე. გზადაგზა, სადაც კი გაფეთქილ მატიტელას დაინახავს, იმუხლება და ბღუჯა-ბღუჯად აკალთავებულ წინსაფარში იყრის. მაშ, რა ქნას, საღამოს ქატოს ცარიელა წყალში ხომ არ აურევს, საკმაზიც ხომ უნდა! ესაო და იხვები არიანო, განა ამათ კი არ იციან პირის გემო!

ჭალაში ღელე მოლიკლიკებს, ალაგალაგ ტბორებადაც დგას. იხვებმა წყლის დანახვაზე ყიყინი ატეხეს და სათამაშო ნავებივით გაეკვრნენ სიფრიფანა ტალღებს. წინ ყვიტა იხვი მიცურავდა, ბოლოში — ყვიტი, შუაში კი ყვიტო ჩაეყენებინათ. ამ სახელებით მოიხსენიებდა მარცვალა თავის იხვებს.

იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ხან პიტალო ლოდთან მიცურდებოდნენ, ხან შმაგას ბუჩქებისაკენ. სიამოვნებით ირხეოდნენ ყვითელი ყვავილები, ალბათ ის თუ უხაროდათ, ამ პაწია ფრთოსნებსაც იმათი ფერი რომ ედოთ.

ჭუჭულებმა ცურვით გული იჯერეს და ყვიტ-ყვიტით ახლა მწვანიანს შეესივნენ. აქეთ მიჰკრეს ნისკარტები, იქით — მოჰკრეს, კოღო-ქინქლებით პირი ჩაიკოკლოზინეს და მაყვლის ბარდებში შეიყუჟნენ, ისხდნენ გაყუჩებულები და თვალები ებლიტებოდათ, არ ვიცი საძილედ, თუ არ ვიცი — ნეტარებისაგან...

მარცვალა, რაკი იმათგან გული დაიარხეინა, თვითონაც ჩრდილში მიჯდა და კალთაში ჩადგმულ პირწატეხილ თიხის ჯამში თითისტარს ბზრიალი დააწყებინა. ხვალ დართვას მოვრჩები და მერე კი ქსოვას დავიწყებო, ფიქრობს მარცვალა, აბზრიალებს თითისტარს და თან ჩუმად ღიღინებს. ცალი თვალი კი ბექობისკენ გაურბის, საიდანაც ხარისთვალამ ხბოები უნდა ჩამორეკოს წყალზე. ხარისთვალა მარცვალას კბილა ერთი იფნის სახრესავით აყლარწული ბიჭია, ქოჩორგაბურძგნული. ქვემო უბანში ცხოვრობს. ხარისთვალა იმიტომ დაარქვეს, რომ ბრიალა, დიდი, ჭროლა თვალები აქვს, ისეთი კუნტრუშა ხბოები დაუდის საბალახოდ, ჯერ მარტო იმათი თვალის შევლება ერთ რამედ ღირს! ერთს შინდისფრად უბრწყინავს ბალანი, მეორე — გიშერაა. მარცვალას ენაზე ,,დილა მშვიდობისა" აქვს გამზადებული ხარისთვალასათვის სათქმელად, მაგრამ რომ აღარ გამოჩნდა!

...აი, ვიღაც თვალითუხილავმა, მარცვალას ლამაზი პირისფერი კაბა ჩააცვა, ფეხებზე — წკაპუნების ნაცვლად,

— ირმის ტყავის ნაზი ქალამანი. მუშტის სიმსხო ნაწნავები კოჭებამდე სცემს...

ხილაბანდიც კაბისფერი უფრიალებს... კალთაში თავისი იხვის ჭუჭულები უსხედან. ბექობზე კი ხარისთვალას ხბოები დახარებულან; რძიანი ბალახის ძოვით დრუნჩზე თეთრი ქაფი მოსდებიათ, ხარისთვალა სალამურს ათამაშებს თითებში და ჭალას საამო ჰანგი ეფინება.

— დილა მშვიდობისა! — თავს ნაზად უკრავს მარცვალა, მაგრამ ხარისთვალა ალბათ ვერ ხედავს მარცვალას, ისეა სალამურის დაკვრით გართული. კიდევ მიესალმა მარცვალა, კიდევ დაუკრა თავი მდაბლად და აი, როგორც იყო, მესამედ რომ დაიჩურჩულა ,,დილა მშვიდობისაო'', ხარისთვალა თავაზიანად მოიხარა და თავი მდაბლად დაიღო. — ეს რა დიდებული იხვის ჭუჭულები დაგიდის ჭალაშიო! ყვითელიც არის და ყვითელიცაო, ამათ ოქროსფერად უბრწყინავთ ბუმბული. ნიჩაბი შემირცხვენია მაგათ ფეხებთან, ღელეში კი არა ცურაობენ, დანარნარებენო... ხელსაქმეც კარგი გცოდნია, მიგიხვდი, ეს ძაფი ნამდვილად პაპის წინდების მოსაქსოვად გინდაო.

მარცვალამ დაიმორცხვა და დაიჩურჩულა: ეგების შენც მოგიქსოვოო.

ხარისთვალამ: შინ არ მოდიხარო? თან ციმციმ აიყვანა მარცვალა ხელში და შვინდა ხარზე შემოსვა, თვითონ კი გიშერას შემოაჯდა და ნება-ნება დაიძრნენ სოფლისაკენ... მთელი უბანი ღობეებს მოაწყდა, ნეტავ ვინ არიან ეს მზეთუნახავებიო...

...მარცვალას თვალი პაწია პირისფერ ყვავილზე გაშტერებოდა და ვერა გრძნობდა ფთილა გასთავებოდა და ჯამში მარტო თითისტარს რომ აბზრიალებდა. ცასაც პირი შეეკრა, საავდროდ ემზადებოდა.

უცებ დაიქუხა. სოფლის თავზე ელვა დაიკლაკნა და აქა-იქ მსხვილი წვეთებიც დაეცა. ჰაერში მიწის სუნი ავარდა. უთუოდ ტყეში უფრო ადრე გაავდრდა, ღელემ ჩუხჩუხს უმატა და აიმღვრა.

— ყვიტ, ყვიტ, ყვიტ! — ქოთქოთებდნენ ჭუჭულები ბარდებში და აღარ იცოდნენ გამოცვენილიყვნენ თუ ისევ იქ დარჩენილიყვნენ.

— აბა ჩქარა, აბა მარდად... — წამოუფრინა მარცვალამ თავის სამწყემსოს, სართავი აბგაში ჩაიგდო და წნელს დაავლო ხელი.

წნელის მოქნევაზე ჭუჭულები ღელეში შეცვივდნენ, მღვრიე ტალღების დანახვაზე უფრო დაფეთდნენ და განწირული ხმით აყვიტყვიტდნენ.

— ვაიმე, ჩემო ყვიტყვიტებო! — თავში ხელში შემოიკრა მარცვალამ, წკაპუნები იღლიაში ამოიდო და წიოკობით მიჰყვა ღელეს. საწყალ ჭუჭულებს ამ ალიაქოთში მთლად დაეფანტათ გონება, სულ თავგზა აებნათ.

მარცვალა ხან ერთს მისდევდა ხან მეორეს, ის იყო ხელს წაატანდა, რომ ტალღა უეცრივ გამოაცლიდა და ახლა მეორე მხარეს გააქანებდა.

— ნეტავი ხარისთვალას დაანახვა ჩემი გაჭირვებაო! — ინატრა გოგონამ და ბექობს გახედა. ხარისთვალას თავისი პატარა დაიკო მხარზე შეესვა და ხბოებს სულ ძუნძულით მიერეკებოდა სოფლისაკენ.

— ვაიმე, ჩემო ყვიტყვიტებო! — მარცვალამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, როგორც იყო ყვიტი და ყვიტო დაიჭირა, გულზე მიიკრა და ის იყო ყვიტას უნდა წასწვდომოდა, რომ წკაპუნები წყალში ჩაუცვივდა, ყვიტასაც ტალღამ გადაუარა და თვალი ვეღარსად შეასწრო.

— ყვიტა, ყვიტა! — მისდევდა ძახილით მარცვალა ამღვრეულ ღელეს, ყვიტი და ყვიტო გულზე ჰყავდა მიხუტებული, წვიმა კი შხაპუნობდა და შხაპუნობდა.

ღელემ სულ აიღო თავზე ხელი, ნაპირებზე გადავიდა... სადღაც ხევის ბოლოს იმისი ტალღები ტრიალ-ტრიალით მიალივლივებდა წინ კისერგადაგდებულ ყვიტას და უკან მარცვალას წითელ წკაპუნებს.

პელო დიდედა და ლექსო პაპა აივნის მოაჯირს მოსდგომოდნენ და შარაგზას გაჰყურებდნენ.

— ადამიანო, როდემდე ველოდოთ ბალღსა! იმის თავს რაღაც ამბავია, თორემ აქამდე გამოჩნდებოდა! — ადგილს ვერ პოულობდა მარცვალას პაპა.

— უწინამც დღე გამიქრეს, რა ამბავი უნდა იყოს, უთუოდ ნათლიანთსა თუ შეაფარა თავი, მაშ, ამ თავსხმაში როგორ წამოვიდოდა!... — აშოშმინებდა პელო დიდედა ლექსო პაპას, მაგრამ თავადაც გზაზე აწყდებოდა თვალები.

— სადაც არის, ყმაწვილს მიკითხვა უნდა! მომაოხრე ერთი ჩემი ბრაგუნები. ამ ავდარში ის შინ არ მეგულებოდეს და მე ჭერი მეხუროს თავზე?

პელო დიდედამ ლექსო პაპას ბრაგუნა წაღები გამოუცუცხცუხა და თვითონაც მხრებზე შალი მოიხურა.

— შენ სადღა მოდიხარ, დედაბერო! — მოუტრიალდა ლექსო პაპა.

— მე რაღა დამრჩენია შინ! ხომ გავთავდი მოლოდინით... — აჩქარდა პელო დიდედა და დაწინაურდა. ჭიშკართან მივიდნენ და, მარცვალაც მოადგა სახლს, მთლად ამოწუწული და ამოტლაპული.

— შენ შემოგევლოს დიდედა!

— ვაი, რატომ არ მოგიკვდება პაპა! — ხელში აიტაცეს მარცვალა მოხუცებმა.

— წყალი შეუთბე, დედაკაცო! — გასძახა პაპამ დიდედას და თვითონ დერეფანში კუნძს ჩახა-ჩუხი აუყენა. დიდედამ კოკა ჩაცალა სპილენძის ქვაბში. შალში გამოხვეული მარცვალა კი ტახტზე იჯდა და კბილს კბილზე აცემინებდა, თან უბიდან თავამოყოფილ ყვიტყვიტებს ნისკარტებზე ჰკოცნიდა.

— დობილსა გლოვობთ განა! მე არ დამემდუროთ, ვიდრე თვალიდან არ დამეკარგა, ხსნის იმედი არ გადამიწყვეტია...

— ყვიტ, ყვიტ! — ნისკარტები დააღეს იხვებმა: რას გვეფიცები, ჩვენი თვალით არ გიყურებდითო?

— ჩემი გულყვითელა ყვიტა! — გული ამოუჯდა მარცვალას. ტირილის ხმაზე მოხუცები შვილიშვილს მისცვივდნენ: შენი ჭირი — ჩვენაო! რაც მოსავალია, უნდა მოხდესო. გაზუნზლული ყვიტი და ყვიტო უბიდან ამოუძვრინეს, ფალას-ფულასებში გამოახვიეს და ღუმელთან დასხეს.

გარეთ ისევ წვიმდა, მაგრამ ლექსო პაპას და პელო დიდედას ფიქრი აღარაფრისა ჰქონდათ, იმათი მარცვალა ფუმფულა ლოგინში იჯდა და თავს გადახდენილ ამბავს უყვებოდა.

— იმ პირქვედასამხობმა ხარისთვალამ აბა თუ ერთი გამოიხედა ჭალისაკენ! იმას რომ ხელი წაეშველებინა, მე ყვიტას წყალი ვერ წამართმევდა! — ისევ გადმოეკიდა წამწამებზე მარცვალას ცრემლები.

— შენი ჭირიც წაუღია! ყვიტას ვჩივით, რაკი უვნებელი მოხვედი, შვილო? — პირჯვარი გადაისახეს მოხუცებმა.

— ხარისთვალა იმასა და დარდუბალა, იმას კი უვარდეს ნაცილი! — გაცხარდა პელო დიდედა.

— აღარ უნდა ჩვენი ბუდეშური მივართვა? — დაიქადნა ლექსო პაპამ. — რა უგულო ყოფილა!

— ჰო, უგულო! თავისი და კარგა შემოისვა მხარზე! გავებუტები და არასოდეს ხმას არ გავცემ. არასოდეს! იმ დღეს ისეთი ლამაზი ყვავილი ვიპოვე ჭალაში, ავდექი და მივურბენინე. იმის შვინდასა და გიშერას სულ სათითაოდ დავაცალე კუდებზე ძურწა, მადლობის მაგიერია!

ლექსო პაპას მუთაქაზე მიედო შვილიშვილის ტიტინში თავი და ტკბილად ჩასძინებოდა.

პელო დიდედა ძილბურანში იყო. მარცვალას ფერხთით ეჯდა და დროდადრო ,,ჰოო, შვილოო'', — უდასტურებდა ნათქვამს.

ცეცხლმა იტკაცუნა და ნავლი წაიყარა.

— ვიცი რატომაც ამიბზუა ცხვირი.

გუშინ ვეხუმრე: თუ კარგია, მგელმა შენ შეგჭამოს-მეთქი, ისიც იმიტომ ვუთხარი, რომ ხბოებს დასჭყივლა — „თქვე სამგლეებოო“. შემეცოდნენ და რა ვქნა! ხბო გეცოდება და მე არაო! შენ სახრე გაქვს-მეთქი, მგელს მოიგერიებ, ხბოებს კი აბა რა აქვთ, პაწაწინა ჩლიქები? ჯერ ხომ რქებიც არ წამოზრდიათ...

როგორ თუ ეგ მითხარიო, სამხარზე ხელი ამიკრა, გაიბუსხა, შუბლზე კოპები წამოიყარა... სახრე შუაზე გადატეხა და გაიქცა. მეც ავდექი და მივაძახე: „ბუტია, ბუტია, ღობისძირში კუნტია“. მაგრამ ბოროტად კი არ ვუთხარი, ვეხუმრე. მაშ, სამაგიეროდ ასე უნდა გადაეხადა? ამის გულისთვის გაჭირვებაში უნდა მივეტოვებინე? ჰა, დიდედ, რას იტყვი?

პელო დიდედა ტკბილ სიზმრებში იყო. იჯდა გულხელდაკრეფილი და ისე ნაზად ფშვინავდა, თითქოს ცეცხლზე ჩაიდანი შიშინებსო... შვილიშვილის დაძახებაზე, ერთი კი წამოიწია, მაგრამ ძილს თავი ვერ გაართვა, მარცვალას თავშექცევით მიუწვა და ჭრელჭრულა ნაჭრის საბანი ფეხებზე გადაიფარა.

— დასძინებიათ ჩემს პაპასა და დიდედას! მე რაღა ჭოტივით ვაჭყეტავ ამ თვალებს! სულ არ მეძინება, გულსაც რა ბაგა-ბუგი გაუდის!

„გულო ჩაჯექ ბუდეში, გულო ნუ გეშინიან“, — ჩაიჩურჩულა მარცვალამ, ბალიშზე მიდო თავი და თვალები მილულა...

ნეტავ საიდან უცვივოდა თვალებში ასეთი ლამაზ-ლამაზი ფერები! სოსანი, ფირუზი, იისფერი... მერე ერთმანეთში აირივნენ და კორიანტელივით დატრიალდა. უცებ ზედ ლაჟვარდისფერი წინწკლები დაათოვა, წინწკლები ყვავილებად გადაიშალნენ, საიდანღაც გიშ-რამ და შვინდამ დრუნჩები წაატანეს. „ბალახი გაწყდა, ყვავილი რომ არა ძოვთოთ?“ — ხელი აჰკრა ხარისთვალამ ხბოებს, მერე კუდებში ჩაავლო ხელი და ტრიალ-ტრიალით გაუჩინარდნენ სამივენი...



— იქნება მაწონი გეამოს, მარცვალავ! — ნახე ერთი როგორია, ყველივით იჭრება... — ემუდარებოდა შვილიშვილს სასთუმალთან ჩამომჯდარი დიდედა.

— რა ჩაჩანაკი გაუხდი, დედაბერო, ყმაწვილს ჯერ თვალი არ გაუხელია!.. „ყველივით იჭრება, ყველივით იჭრება“! — შეუტია ლექსო პაპამ.

— მაშ რა ვქნა, ვერა ხედავ, ჩვენი მარცვალა გაბაბანებული წევს! მაწონი კარგია, სიცხეს გამოუნელებს, გულს გაუგრილებს...

— პაპამ მაჭამოს! — მოისურვილა მარცვალამ, — შენ ყვიტყვიტებს მიხედე, დიდედ!

— ანდე, პაპამ მაჭამოსო, დედაკაცო! გამეცალე, მე უნდა დავაპურო ჩემი მარცვალია, პაპას ქალია, მაშ, რა გგონიათ! ეგ ქილა აქ მომაწოდე!

ეზოში იხვებმა ყვიტ-ყვიტი ატეხეს. ალბათ დიდედა პელომ საქათმის კარი გამოუღო.

— ჩემი ყვიტა! — თვალები ცრემლით აევსო მარცვალას, — იცი, პაპი, როგორ იცოდა კისრის მოღერება, გედი გეგონებოდა! თვალები გიშრის მძივებივით უბრწყინავდა...

— ნუ გაბერე გუდა-სტვირი! კაცი კვდება და ახლა ერთი იხვის ჭუჭული ვითომ რაო, გინდა ყოფილა და გინდა არა! — შეუტია პაპამ და ხის კოვზით მაწვნის ბელტი პირთან მიუტანა!

— ჰო, მაშ! — სლუკუნით გაუღო პირი მარცვალამ და მაწონს ცრემლებიც ჩააყოლა.

ჭალაში სეირნობას დაჩვეულმა ჭუჭულებმა საკენკი მიირთვეს თუ არა, ღობეში გამოძვრნენ და ფერდობზე გააბეს ქარავანი.

— აჭუკა! — გზა გადაუჭრა პელო დიდედამ და ხელების ქნევა-ქნევით ისევ ეზოში შემოყარა. — თქვენი გული მაქვს, მარცვალა ავადმყოფი მიწევს.

ჭუჭულებმა თითქოს ისმინესო დიდედას დარდი, ღობის ძირში მიყუჟდნენ და სევდიანი თვალებით დაიწყეს სივრცეში ყურება.

— დიდედო, იცი, როგორ მეამა შენი შედედებული მაწონი! ძალიან გემრიელი იყო... — შემოსვლისთანავე მიახარა მარცვალამ დიდედას.

— შეგერგოს, აგრემც დაგენაცვლე-ბი...

— ნახე, ქილა გაანახევრა. მიწოდე-ბას ვერ ვასწრებ! — ჩაჰკრა კოვზი ისევ ლექსო პაპამ მაწონში, — დილაზე ჩი-ტივით იქნება ჩვენი გოგო...

ჭიშკარი აჭრიალდა. კიბეზე მორიდე-ბული ფეხის ხმა გაისმა.

— ხარისთვალა იქნება! — გული შეუქანდა მარცვალას, — რაკი ჭალაში არ გამოვ-ჩნდი: შინ მომაკითხა! აკი უგულოაო?

— ბებო, კიბის თავზე ვიღაც დგას, გახედე! — ლოგინში წამოჯდა მარ-ცვალა.

დიდედამ კარზე მომ-დგარი სტუმრები გული-თადად შემოიპატიჟა — მოდით, შვილებო, რა-ტომ ეგრე გაჩერებულ-ხართ, მობრძანდით! ცო-ტა მოშორებით ჩამოს-ხედით, უქეიფოდ არის თქვენი მარცვალა!

— ვიცით, პელო დი-დედა! დილას ლექსო პა-პამ ძროხა რომ გამოაგ-დო ნახირში, მაშინ გვი-თხრა. — შეიშმუშნა კა-კილო და თავის დას თა-ფლოს ანიშნა — მოსა-კითხი მაგიდაზე დადეო.

— ნაზუქი მოგიტანე, მარცვალა, დედამ ახლა მოხადა თონე. — მოგი-ტეხო? — თაფლომ ხე-ლსახოცი შეხსნა მოსა-კითხს.

— ახლა არ მინდა თაფლო, იმდენი მაწონი გეახელით. ცოტა ხნის. მერე, — მადლიერებით გადმოხედა მარ-ცვალამ თავის მეზობლებს.

— გაცივდი, მარცვალ? — ცხვირზე სახელო მიისვ-მოისვა კაკილომ.

— გაცივდებოდა, მაშ რა იქნებოდა! იმ თავსხმაში მოჰყვა... — მარცვალას პასუხი არ დააცალა თაფლომ, — საღა-მოს ჩიტივით იქნება.

— რატომაც არ იქნება, ავად ვინ არ ყოფილა! არა, მარცვალ? ახლა მეორე სახელო მიისვ-მოისვა სახეზე ბიჭმა. — ახალი ამბავი იცი?

— აბა, საიდან ეცოდინება! — პირი მოსტეხა თაფლომ.

— წუხელის ძაღლების ყეფა ვერ გა-იგე?

— როგორ არ გავიგე, გათენებისას... არ მეძინა...

— გორაანთ მგელი მოუხტათ კარზე!

— მგელი?! — შეშფოთდა მარცვა-ლა.

— მაშა, გოგო! ცხვარი დაკლეს და ალბათ სუნი აიღო იმ სატიალემ, მაგა-თი სახლი ხომ ტყეზეა მიკრული. — ტახტზე ავიდა თაფლო და მოიკეცა. — გიყვარდეს, ხარისთვალამ ის გააგორა, ისეთი მიზანი აქვს, ბეწვს შუაზე გაგ-ლეჯს...



— ხარისთვალამ?! მერე მგელმა ხომ არ შეჭამა? — ცრემლით აევსო მარ-ცვალას თვალები.

— შეჭამა არა! შენ ხარისთვალა არა გცნობია! — ენად გაიკრიფა თაფლო, აი ასეთია, აი ისეთიო!

— ოჰო, ჰო, ჰო! რა ცამდე აიყვანე, გოგო! მგელს რა, მე კი პირზე ვაკო-ცებდი? — გაიბუსხა კაკილო.

— შენა? სხვა რომ თოფს ისვრის, ტახტის ქვეშა ძვრები!

გოგონებმა სიცილი დააყარეს კა-კილოს.

— შუ ენაამოსაგდებო, რატომ იმას არ ეუბნები მარცვალას, დაბინდდება თუ არა, გარეთ რომ ველარ გადიხარ, ეშმაკები მომიტაცებენო. — [illegible] გადახედა კაკილომ დას და მუჯლუგუ-ნიც უთავაზა.

— შენზე დიდი ეშმაკი ვიღა იქნება! — მუჯლუგუნი ეგეთი არ უნდაო, თავში ჩაუბასტუნა თაფლომ.

— ერთი ამას არ უყურებ! — აიფხო-რა კაკილო.

— მიყურე რა,—გულ-დაგულ დაუდგა თაფლო. და — ძმა წაკინკლავდ-ნენ და ტახტზე კოტრი-ალი დაიწყეს.

მარცვალას კი თვალ-წინ ხარისთვალა და მგელი წარმოუდგა. აი, ეპარება მგელი, აი, ეს-ესაა კანჭში უნდა სწვდეს, რომ ხარისთვა-ლას თოფმაც იგრიალა.

გულგანგმირული მგე-ლი შეტორტმანდა და თა-ვდაყირა გადაეშვა უფს-კრულში.

,,ხარისთვალა, რა გუ-ლადი ყოფილხარ!‘‘ — მიირბინა მარცვალამ მე-გობართან.

,,კიდევ მეტყვი, მგე-ლმა შეგჭამოსო‘‘, — ჩა-იბურდღუნა ხარისთვა-ლამ.

,,არასოდეს არ გაგი-მეტებ! — ხელები გაა-სავსავა მარცვალამ. — ეს ერთი მაპატიე‘‘...

— გაშველება, გაშვე-ლება! — შემოსვლისთა-ნავე დაიძახა ლექსო პა-პამ და და-ძმას შუა ჩა-დგა.

— ხუმრობენ, ლექსო, ჩხუბი რა საკადრისია! — პირი მოსწმინდა პელო დიდედამ ბავშვებს და ხილზე მიიპა-ტიჟა.

— პაპილო, გაიგე ხარისთვალას მგე-ლი რომ მოუკლავს წუხელის? — ფე-ხებთან საბანი ამოიკეცა მარცვალამ.

— მთელი სოფელი ლაპარაკობს! ბა-რაქალა, ბიჭო! — დალოცა დიდედამ.

— სახარეს ჩლიქებში ეტყობაო, ნათ-ქვამია! — ულვაშებზე ხელი გადაისვა ლექსო პაპამ და წითელი ვაშლები მი-აწოდა სტუმრებსაც და თავის მარცვა-ლასაც.

კაკილომ დას თვალებით ანიშნა, წასვლის დროაო, თაფლომაც მხრები აიწურა — წავიდეთო...

ლექსო პაპამ ბავშვებს მიხვედრილო-

ბა მოუწონა: გარეთ გამოსულ კაცს სახლის კარი არ უნდა დაავიწყდესო, მადლობა მოახსენა მარცვალას ნუგეშისათვის და ბუხარში შეშა დააწყო ცეცხლის ასანთებად.

— მაისი ჩათავდა და ცეცხლს ჯერ სიტკბო არ დაჰკარგვია. მზე ჩავა თუ არა, ისეთი სუსხი დაჰკრავს ხოლმე, სულ ძვალსა და რბილში მატანს. — ხელისგულები ერთმანეთზე გაიხურა ლექსო პაპამ და შეშებს შუა ჩადებულ ბურბუშელას ცეცხლი წაუკიდა.

— დაბერდი, ჩემო ლექსო, და ეგ არის! — ზედადგარზე ქოთანი შემოდგა პელომ შეჭამანდის გასაცხელებლად.

— სამაგიეროდ, ჩვენი მარცვალა იზრდება, იცი, რა ქალი დადგება, ქვეყნის თვალი იქნება, თვალი!

— რატომაც არ იქნება! აგრემც ამას დაენაცვლოს თავისი დიდედა! — მიესიყვარულა დიდედა თავის მარცვალას და ლოყაზე ლოყა მიადო, — სიცხე გამონელებია, ლექსო!

— თვალები სარკესავით უკრიალებს! ხვალ ჩიტივით წამოფრინდება ჩვენი გოგო. — გაიხარა ლექსო პაპამ.

ცეცხლზე შედგმულმა შეჭამანდმა ტკბილად დაიწყო თუხთუხი, ირგვლივ ქონდრისა და ქინძის სურნელი დატრიალდა.

●

მზე ამოვა და ახმიანდება ჭალაც! — წვრილი ბილიკით მიუდის ღელესთან მარცვალას თავისი ყვიტი და ყვიტო...

„აჭუკა-აჭუკა“! — წკრიალებს მარცვალას ხმა ჭალაში. საურმე გზით კი ხარისთვალა მოერეკება თავის შვინდასა და გიშერას.

„ფთვიე, ჰამჰოო“ — დასძახის სიყვარულით და იქნევს ჰაერში თავის იფნის სახრეს.

— დილა მშვიდობისა, ხარისთვალა! — ესალმება მარცვალა კეთილად.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს! — იღიმება ხარისთვალა.

ასეთ სიამტკბილობაში ამოდის მზე და ჩადის, ჩადის და ამოდის!.. ბაღში ხილი მწიფს, ვენახში — ყურძენი, ბეღელი ჭირნახულით სავსეა... ვისია ამოდენა დოვლათი?

ვისია და მარცვალასი...

ვისია და ხარისთვალასი, თაფლოსი, კაკილოსი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქეთევან ცერცვაძე

ფოტო ანზორ ჩიგოგიძისა.



# ჩვენი [illegible]

ავტობუსი ვიწრო ხეობაში მიჰქრის. ფეხდაფეხ მიჰყვებიან გოლიათი მთები, — ზოგან კალთებბიბინა, ზოგან ჩარუხებულ-ჩანისლულნი.

თერგი „არა რბის“, „არა ღრიალებს“, წლევანდელ გვალვას იმისათვისაც გამოუცლია არაქათი და თითქოს დარცხვენილი თავისი უძლურებით, უჩუმრად მიჩხრიალებს.

მთები და ისევ მთები! ერთგან ცის კიდურთან საძოვარს თეთრი წერტილებივით შეჰფენია ცხვარი! ნეტავი რომელი გზით, რომელი ბილიკით ამოაღწია აქ ან ფარამ, ან ამ დალოცვილმა მწყემსმა თავისი კომბლითა და ბაბრიათი? იქნებ ღრუბლის ფთილებია გაშლილი და თვალს ასე ეჩვენება?

ჯვრის უღელტეხილზე „ფეხიდან მიწა გამოგვეცალა“ და ჩვენც ცას ჩამოვეკიდეთ. იმედის ნაპერწკლებივით კიაფობდნენ დროდადრო წითელკრამიტიანი სახურავები: კობი, სიონი, ვარდისუბანი...

და აი, დარიალის ხეობა! ლარსი, ჩმი, ბალთა... და აჰა, მივადექით კიდეც ქალაქ ორჯონიკიძეს. ჩვენი მგზავრობა დამთავრდა. ყველა მგზავრს თავისი მიზანი აქვს, როცა გზას ადგება და მეც მქონდა ჩემი მიზანი აქ ჩამოსვლისა.

ჩრ. ოსეთის ამ ქალაქში აგერ უკვე 83 წელი გახდა, რაც ქართული სკოლა არსებობს და კეთილი საქმის



მთისველი, სიკეთეს სიკეთითვე იმ-კის.

აკ. წერეთლის სახელობის
მე-19-ე ქართული საშუალო სკოლა

ამოვიკითხე აბრაზე და დიდი მოწიწებით შევაღე ამ სკოლის კარები. რამდენიმე დღით შევეხიზნე კიდეც. გავეცანი მის წარსულს, დღევანდელ სისხლსავსე ცხოვრებას და აი, ახლა სწორედ ამაზე მინდა მოგითხროთ.

ალბათ დღევანდელი ნორჩი თაობა ვერც კი წარმოიდგენს იმ შავბნელ დროს, როცა ეკონომიურად წელში გაწყვეტილი და სოციალური ჩაგვრით შევიწროებული საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ლუკმა პურის საძებნელად თავის მშობლიურ მიწა-წყალს სტოვებდა და შორეულ გზას ადგებოდა.

ჩრ. კავკასიაში მცხოვრები დღევანდელი ქართველობა იმ ბედით განწირულ წინაპართა ჩამომავლები არიან, რომლებიც „დღეს-ხვალობით“ შემორჩნენ მეზობელ ხალხთა მიწა-წყალს, მხოლოდ დედაენა, „ჩვენი ტკბილი ქართული“ იყო მათი სამშობლოს სევდის გამქარვებელი.

ქართველთა ამ ოცნებას ფრთა შეასხა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ ყიფიანმა, რომლის თაოსნობითაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქ. ვლადიკავკაზში 1888 წ. 10 ნოემბერს ქართული სკოლა გახსნა. მისივე თაოსნობით და მხურვალე მონაწილეობით ვლადიკავკაზში ყალიბდება წერა-კითხვისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება თერგის ოლქის მთიელთა შორის.

მ. ყიფიანი ძალიან ახლო მეგობარი იყო ოსი ხალხის სახელოვანი შვილის პოეტ კოსტა ხეთაგუროვისა. მათი ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა სიმბოლურად გამოხატავდა ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას საუკუნეების მანძილზე. მ. ყიფიანი 1891 წელს გარდაიცვალა. კოსტა ხეთაგუროვმა მეგობრის ხსოვნას ორი ლექსი მიუძღვნა, ერთი მათგანი „მ. ყიფიანის სიკვდილის გამო“ რუსულად დაწერა.

«В образе скромном,
простого грузина,
Все незабвенный наш
брат совместил».

ასე დაახასიათა მან თავისი ქართველი მეგობარი.

მ. ყიფიანის შემდეგ ვლადიკავკავის ქართულ სკოლას სათავეში ჩაუდგა იაკობ გოგებაშვილის თანამოზიარე, უბადლო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე. მისი აქ მუშაობის 14 წლის მანძილზე ერთიორად ამაღლდა სკოლის ავტორიტეტი, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. ყოველივე ამის გამო, ქალაქის სამმართველომ სკოლის ახალი შენობის ასაგებად მიწის კარგა მოზრდილი ნაკვეთი გამოჰყო. აი, სწორედ ამ ნაკვეთზე აშენებული შენობაა დღევანდელი სკოლაც. მშენებლობა ვლადიკავკაზში მცხოვრები ქართველების სახსრებით წარმოებდა. ზაფხულის არდადეგებზე ლ. ბოცვაძე თავზე ედგა მშენებლობას. ხალხი ამბობდა: „სკოლის კედლები ლუარსაბის სუნთქვით შრებაო.“ შენობაში სკოლის გარდა მოათავსეს კლუბი, ბანკი, ჭრა-კერვის სკოლა, ხოლო წინა მხარეს მიშენებული ჰქონდა ეკლესია.

ლუარსაბ ბოცვაძე იშვიათი პედაგოგი იყო. მშობლიურ ენის სწავლებასთან ერთად სკოლაში საუკეთესოდ ასწავლიდნენ რუსულ ენასაც.

თერგის ოლქის მზრუნველმა გრუშევსკიმ ამ სკოლაში მოსწავლეების რუსული ენის ცოდნა შეამოწმა და აღტაცებაში მოვიდა. ამის მერე თერგის ოლქის სკოლების დირექტორი ზავადსკი სუსტ მასწავლებლებს ლ. ბოცვაძესთან აგზავნიდა ხოლმე.

— „წადით ქართულ სკოლაში და ბოცვაძისაგან ისწავლეთ თუ როგორ უნდა დააყენოთ სწავლის საქმეო“.

ამ სკოლამ განსაკუთრებული სახელი მოიპოვა 1906 წელს. სკოლის კლუბში ხშირად ეწყობოდა საქველმოქმედო საღამოები, რომლებშიც ხშირად იღებდა მონაწილეობას კოსტა ხეთაგუროვი და თავის ახალ ლექსებს კითხულობდა.

სკოლა ოსი და ქართველი ხალხის ძმობისა და მეგობრობის კერად იქცა.

ვლადიკავკავის ქართულ სკოლაში სხვა ცნობილი პედაგოგებიც მოღვაწეობდნენ. გ. ნათაძემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მოსწავლეებსა და მთელ ქართველ საზოგადოებაში. იგი თავისი ზეადამიანური თვისებებით ნათელი მაგალითის მიმცემი იყო მოზარდი თა-



მიხეილ ყიფიანი.





ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ:
ჩქარა, სადაც არის ზარი დაირეკება!
ფიზიკის ლაბორატორიაში.
სახელოსნოში.



დაზგასთანაც ფიქრია საჭირო...

ობისათვის. უღვიძებდა მათ სიმართლისმოყვარეობას, პატიოსნებას, სამშობლოს უანგარო სიყვარულს. მისი სულიერი სიწმინდისა და კდემამოსილების გამო მას „მამაოს“ ეძახდნენ.

1905 წლის რევოლუციის დროს სკოლის მასწავლებელთა და უფროს მოსწავლეთა ნაწილი რევოლუციას თანაუგრძნობდა. სკოლის შენობის გვერდით არალეგალურ სტამბაში მოწოდებები და პროკლამაციები იბეჭდებოდა. ეს სტამბა მოთავსებული იყო გიორგი უტურაშვილის დაქირავებულ ბინაში. ყუმბარები წვიმის სადინარ მილში ჰქონდათ დამალული. გიორგის მეუღლე ნინო უტურაშვილი ქართული სკოლის ბავშვებს ჭრა-კერვას ასწავლიდა. სტამბას ნოე ბუაჩიძის დავალებით იოსებ ბაბილოძე ხელმძღვანელობდა. ბევრი ძებნის შემდეგ პოლიციამ სტამბას მიაგნო, დააპატიმრა რ. ბაბილოძე და მისი მეუღლე ელენე ყაზახიშვილი. მათი კატორღაში გადასახლების სურ.ათი დღესაც ახსოვს დიდი ოქტომბრის რევოლუციის ვეტერანს, სამოქალაქო და სამამულო ომების მონაწილეს, ამ სკოლაში აღზრდილს პ. კობაიძეს. მან თავის ამხანაგებთან ერთად გააცილა საყვარელი მასწავლებლები. ბორკილდადებულები ჯერ ქალაქი შემოატარეს და მერე ისე გაუყენეს ციმბირის გზას.

აი, როგორი სიტყვებით მიმართა ი. ბაბილოძემ მოსწავლეებს:

„რამ დაგაღონათ, ჩემო პატარა მეგობრებო! რამ ააღელვა თქვენი ნორჩი გულები, ჩემო ძვირფასნო? თავისუფლების კაშკაშა მზე სულ მალე გაანათებს ჩაგრულთა გულებს და ქვეყანაზე დამკვიდრდება ძმობა, მეგობრობა და თავისუფლება. ჩვენ მალე დავბრუნდებით, ოღონდ გახსოვდეთ, თქვენი ბედნიერი ცხოვრების გამო მივემგზავრებით კატორღაში“.

სკოლასთან დაკავშირებულები იყვნენ ცნობილი ქართველი რევოლუციონერები: ფ. მახარაძე, ნ. ბუაჩიძე, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი და სხვანი. სკოლის ცხოვრებით დაინტერესებული იყო რევოლუციის უდიდესი ტრიბუნი ს. მ. კიროვი, რომელიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მის პედაგოგიურ კოლექტივს და გაზეთ „თერგში“ ხშირად აქვეყნებდა მათ წერილებსა და შენიშვნებს. ამ გაზეთში დაიბეჭდა ლ. ბოცვაძის წერილი კ. ხეთაგუროვის გარდაცვალების გამო. „საუკუნოდ დადუმდა სიმართლის, თანასწორუფლებიანობის და თავისუფლების აპოსტოლი“. — წერდა ჩვენი თანამემამულე. კოსტა ხეთაგუროვის დაკრძალვის დროს: ამჟამად ქალაქის თავისუფლების მოედანთან პროცესია შეჩერდა და ორგანიზებულად შეუერთდა მათ ვლადიკავკავის ქართველთა საზოგადოება. ერთმა მათგანმა, გვარად შოშიაშვილმა, მოკრძალებით გაშალა მდიდრული თეთრი ფარჩა და კუბოს სასოებით გადააფარა. ამით ვლადიკავკავის ქართველთა საზოგადოებამ საქართველოს სახელით ოსი ხალხის სახელოვანი შვილისადმი უდიდესი პატივისცემა გამოხატა.

სკოლის ცხოვრების ნათელი ფურცელი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადაიშალა. პირველყოვლისა სკოლა გადავიდა სახელმწიფო ხარჯზე.



სკოლის დირექტორი სოფიო ელიაშვილი.



მასწავლებლების ერთი ჯგუფი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი თამარი ნორჩ მკითხველებს ახალ წიგნებს სთავაზობს.

ხოლო 1935-36 წლებში შვიდწლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა.

1940 წელს ა. წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით სკოლას და ქუჩას, სადაც ის მდებარეობს, ჩვენი ძვირფასი მგოსნის სახელი მიენიჭა.

დიდი სამამულო ომის დროს სკოლაში ერთხანს სწავლა შეწყდა. სამშობლოს დასაცავად წითელი არმიის რიგებში წავიდნენ სკოლის დირექტორი ვ. პაპიაშვილი, მასწავლებლები: დ. ლობჟანიძე, მ. მეშკოვსკი, ა. შაგაშვილი, რ. ქორქიკაშვილი და სხვანი. მოსწავლეები: შ. შალიკაშვილი, გუგუშვილი, ი. დუდაური, ძმები — დავით და ანტონ გვრიტიშვილები, დიმიტრი და გიორგი მაისურაძეები, მ. ოქროპირიძე და სხვანი...

...1963 წელი დაუვიწყარი წელია ამ სკოლის ისტორიაში. მან აღნიშნა თავისი არსებობის 75 წლისთავი.

იუბილეზე ღრმა პატივისცემით მოიხსენიეს ამ სკოლის ამაგდარი პედაგოგები: პარმენ გოთუა, გიორგი მიქაბერიძე, მიხეილ ცაბალოვი, ო. ბაკურაძე — კოკიევა, ვანო გიორგობიანი, შალვა ღუდუშაური, უშანგი ობოლაძე (ამჟამად განათლების მინისტრის პირველი მოადგილე), ნატო ელერდაშვილი, ნინო დოლიაშვილი. დღეს ცნობილი მწერალი ლევან გოთუა, აღზრდილები: პროფესორები ვ. შადური, ი. ბოცვაძე და სხვანი, რომლებიც სტუმრად იყვნენ ჩამოსულები სკოლაში.

სკოლას ოცი წელიწადია სათავეში უდგას ამ სკოლაში აღზრდილი ქალი სოფიო ელიაშვილი. ჯერ ისევ სტუდენტი იყო პატივცემული სოფიო, რომ მშობლიურ სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1945 წლიდან სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნეს, ხოლო 1952 წლიდან — დირექტორად.

სათნო და მოამაგე მანდილოსანი სანაქებოდ უძღვება მშობლიური ეროვნული კულტურის ამ ერთ პაწია რტოს და მთელი არსებით იღვწის მისი კეთილდღეობისათვის.

სკოლაში მოღვაწეობენ გამოცდილი პედაგოგები: ეკატერინე რეხვიაშვილი, თამარ მეტრეველი (სასწ. ნაწილის გამგე), რომლებიც უკვე პენსიონერები არიან, მაგრამ არა და არ ეთმობათ ეს თავიანთი მეორე ოჯახი. არც მოსწავლეებს ეთმობათ ამაგდარი მასწავლებლები. ქავთარაძე ვლადიმერი, რეხვიაშვილები შალვა და თამარი, მაჭავარიანი კლავდია, მეტრეველი გიორგი, ქარაული თამარი, ფიცხალაური ვერა და სხვანი.

ამ სკოლის შენობაში მეორე ცვლაში რუსული სკოლა მეცადინეობს, რუს ბავშვებთან ერთად ათი სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ეუფლებიან ცოდნას: უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, კორეელი...

მისაბაძია და სანიმუშო ჩვენი მოძმე ერების შვილების მეგობრობა და მათი პიონერული საქმიანობანი.

სკოლის რაზმეული სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს და საიუბილეო მარშის „იყავ მზად“, ყველა მარშრუტით თავიანთი წვლილი შეაქვთ პიონერიის მატიანეში.

მართალია მათი ძირითადი მარშრუტი ცოდნის სამყაროა და დიდი წარმატებებიც აქვთ აკადემიურ მოსწრებაში, მაგრამ არც სხვა მარშრუტების საქმიანობაში ჩამორჩებიან, განსაკუთრებით გამოირჩევა მე-5-ა კლასის შ. გამცემლიძის სახელობის პიონერული რაზმი, რომელშიაც ყველა პიონერი ოთხოსანი, ან ხუთოსანია. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ გუჯარაიძე თავის მეგობრებთან ერთად — თამაზ გოგიაშვილთან, ამირან გაბრიელაშვილთან, მანანა ჩქარეულთან და სხვებთან გულითადად ზრუნავს რაზმის მოწინავეობისათვის. მათ თავი გამოიჩინეს პიონერმშენის მარშრუტითაც. ამ რაზმის პიონერებმა ტონამდე ჯართი შეაგროვეს და მშობლების დახმარებით მანქანებით გადაზიდეს დანიშნულებისამებრ. შეაგროვეს ვიეტნამისათვის სამკურნალო მცენარეები.

ქ. ორჯონიკიძეში პიონერიის საიუბილეო თარიღისათვის შენდება ახალი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ლენინგრადის პიონერთა სასახლის პროექტით. ქალაქის პიონერთა ორგანიზაციები მხურვალე მონაწილეობას იღებენ მის მშენებლობაში და სხვებს არც ავთო გუჯარაიძის რაზმი ჩამორჩება, ხოლო მარშრუტით — „პიონერული დროშებისადმი სწორება“ — მწყობრისა და სიმღერის სარაიონთაშორისო დღესასწაულზე — მე-5-ა კლასის რაზმი არკადი გაიდარის სახელობის მე-5-ბ კლასთან ერთად სიგელით დაჯილდოვდა.

„ცისკარი“ პიონერების ერთ-ერთი საყვარელი და მომხიბვლელი თამაშია. ეს თამაში ამას წინათ ქალაქის კომკავშირის პარკში უმცროსი ასაკის პიონერებისათვის მოეწყო, — ვინ მალე იპოვნის დროშას! მე-5-ა და მე-5-ბ კლასის რაზმებმა აქაც არ დაუთმეს სხვას პირველი ადგილი.

მარშრუტით — საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა! — დაფრინავენ სხვადასხვა გზებით მეგობრობის ცისფერი კონვერტები.

უკვე მესამე წელია რაც 7-ა კლასის რაზმის პიონერებს მიწერ-მოწერა აქვთ ბათუმის № 13 სკოლის თანატოლებთან. ასევე ბარათებით მეგობრობენ ერთმანეთთან მათი პიონერხელმძღვანელები — ტატიანა კასაევა და აზა გრძელიძე.

ახლა კი ორჯონიკიძელი პიონერები საგულდაგულოდ ემზადებიან ბათუმში გასამგზავრებლად და ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს მოსაწყობად. მათ დელეგაციაში იქნებიან ოსი, რუსი, ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების პიონერე-

ბი. დევიზი ამ შეხვედრისა იქნება — „მეგობრობა ყველაზე ძვირფასია!“ ჯგუფს განზრახული აქვს თან წაიყვანოს ჩრ. ოსეთის ვეტერანი პიონერი, სოციალისტური შრომის გმირი ევა ბიტიევა, რომელიც პიონერებთან მთელი სულითა და გულით მეგობრობს. მშვიდობისა და სოლიდარობის მარშრუტით ამავე რაზმის პიონერები სოფელ მაირამადაკში გაემგზავრნენ. ამ სოფელში შვიდი ძმის კალაგოვების სახელის უკვდავსაყოფი ძეგლი დგას, ისინი გმირულად დაეცნენ სამამულო ომის ბრძოლებში.

ქართველმა პიონერებმა გმირების დედა ძეგლთან გამართულ თავიანთ შეკრებაზე მოიყვანეს. ოსი ვაჟკაცების პატივსაცემად ოსურ ენაზე თქვეს მათდამი მიძღვნილი ლექსები, იმღერეს სიმღერები და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ძმათა საფლავი.

საიუბილეოდ ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს ა. წერეთლის სახელობის მე-19 საშ. სკოლის პიონერებსაც! ამ თარიღის აღსანიშნავად განზრახული აქვთ მოაწყონ ჩრდ. ოსეთის პიონერორგანიზაციის ისტორიისადმი მიძღვნილი შეკრება. შეკრებაზე მოიწვევენ პირველ პიონერებს, 4-ა და 4-ბ კლასის რაზმები ემზადებიან შეკრებისათვის: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ ლენინურად, რომ ვიაროთ ლენინის გზით“.

5-ა და 5-ბ კლასების რაზმებთან შესახვედრად ემზადება სკოლის კომკავშირის ორგნიზაცია, თემაზე — თქვენი ხელმძღვანელი კომკავშირი. გაცხოველებულია სოცშეჯიბრი რაზმებს შორის: ვინ უკეთესად მორთავს თავიანთ საკლასო ოთახს, კედლის გაზეთს. მოეწყობა კონკურსი ვ. ი. ლენინის ძეგლთან საუკეთესო სიმღერასა და მწყობრზე.

პიონერები უკვე შეუდგნენ მასალის შეგროვებას გამოფენისთვის — ლენინი და პიონერია, რომელიც სკოლის დერეფანში უნდა მოაწყონ. პიონერები არ ივიწყებენ თავიანთ უმცროს მეგობრებსაც, ოქტომბრელებისათვის მოეწყობა შეკრება-დღესასწაული — ილიჩის შვილიშვილები. — პიონერები მათ უამბობენ პიონერის საქმიანობაზე, თავიანთი ორგანიზაციის საინტერესო ეპიზოდებს, ჩაფიქრებული აქვთ კოცონი — ოქტომბრელები და პიონერები; რაზმეულის სადღესასწაულო შეკრება — სამი თაობა, — სადაც თავს მოიყრიან კომუნისტები, კომკავშირელები, პიონერები. ყველაფერ ამას კი ცოდნა და გარჯა უნდა, ამიტომ სკოლის მთელი რაზმეული ჩაბმულია ამ საერთო ფუსფუსში. პიონერები გულდასმით სწავლობენ ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ადგენენ ალბომებს, ფოტოსტენდებს, მოქმედებენ წითელი კვალმაძიებლები, რაზმეული მოუთმენლად ელის თავის ძვირფას იუბილეს, რომლის დიდებულ ზეიმზე თითოეული მათგანი ხალისით მოვა ხელში თავისი გამოზრდილი ქოთნის ყვავილით და უდიდესი პატივისცემით შეამკობს დიდი ბელადის ძეგლს, რომლის სახელსაც ასე პირნათლად ატარებენ ჩვენი ქვეყნის წითელყელსახვევიანი ნორჩი ლენინელები.



მთელ სკოლაში სახელი გაითქვეს ამ მოცეკვავე ბიჭუნებმა.

## ჩემი სიმღერა

საქართველოა ჩემი სიმღერა,
ულამაზესი და მშვენიერი.
რამ დამავიწყოს ცამდე აწვდილი,
მისი ჭაღარა მთების იერი.
კოკორ ვარდივით გულს მახატია,
მშობელ მამულის ტურფა მთა-ველი.
ჩემი სიცოცხლის წმინდა ხატია
ბარათაშვილი და რუსთაველი.
ჩემი ოცნების წმინდა წყაროა
ვაჟა-ფშაველას მიწა მშობელი
არწივის ფრთებით მისკენ ისწრაფვის
ჩემი მადლობა დაუშრობელი.

აზა ჩქარეული,
ქ. ორჯონიკიძის ქართული საშ.
სკ. X კლ. მოსწავლე.

## მიყვარს მშობელ საქართველოს...

მიყვარს ფერად ყვავილებით
მკერდშემკული ველები,
მის სიტურფეს, მის მშვენებას
თავზე შემოვევლები.
მთის კალთებზე შეფენილი
მიყვარს ღრუბლის ფარები,
მომქუხარე ჩანჩქერები,
მზეში ნაელვარები.
მიყვარს ხევში მოჩუხჩუხე
წყარო — ცივი, ანკარა,
მუხის ტოტზე მოფრთხიალე
ჩიტი ბოლო-ქანქარა.
მიყვარს მშობელ საქართველოს
ცა ფირუზი — უძირო:
თერგი, მტკვარი, ალაზანი,
დღე და ღამე უძილო.

თამარ წიქლაური,
ქ. ორჯონიკიძის ქართ. საშ.
სკოლის IX კლ. მოსწავლე.

## ველარ შველიან საბრალოს

ნეტავ, რას იგლოვ, მყინვარო?
ან კი, რა შენი ბრალია!
ტყვიამ მოსწყვიტა კლდეს ჯიხვი,
აკვნესა მთა და ბარია.
მუხთალი ტყვიით განწირულს
თავს დასჩხავიან ყვავები.
ველარ შველიან საბრალოს
ჩანჩქერნი სათაყვანები.
ყანწებ დალეწილ ხარჯიხვსა
რბილ ბეწვს უწეწავს ქარია.
ატირებულა მყინვარი,
ცრემლს აფრქვევს, როგორც ქალია.

ვ. ავსაჯანიშვილი.
ქ. ორჯონიკიძის ქართული საშუალო
სკოლის X კლასის მოსწავლე.



# მზრუნველი ყვავილი

კონსტანტინე
პაუსტოვსკი

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

მთელი ქალაქის გავლა დამჭირდა, სანამ სადგურიდან ნავსადგურამდე მივიდოდი. ყინულთსვლა ახალი დამთავრებული იყო და მდინარე ფართოდ მოალაპლაპებდა ყვითელ წყალს. ნამდვილი ადრეული გაზაფხული იდგა, მშრალი და ქლალი. ერთი ეგ იყო, რომ ბაღებში იასამნებს დახეთქოდათ მწვანე კვირტები.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სადგურზე ადამისდროინდელი ჯახჯახა ტაქსის დაქირავება, მაგრამ სამდინარო კატერის გასვლამდე ჯერ საკმაოდ დიდი დრო იყო და გაცილებით უფრო ესიამოვნებოდა კაცს ნელი ნაბიჯით ქალაქში გასეირნება — ჩაუვლიდი თაღებიან სავაჭრო რიგებს, ხრამზე გადებულ აგურის ხიდს, რომლის ქვეშაც აქაფებული ნაკადული მოჩუხჩუხებდა და ნაგავწაყრილ ნაპირებს ხარბად ათვალიერებდნენ თავხედი ჭილყვავები, ჩაუვლიდი პატარა ელექტროსადგურს, მაზუთიანი კვამლი თუხთუხით რომ ამოდიოდა მაღალი რკინის მილიდან, ჩაუვლიდი სახლებს, რომელთაც ისეთი გაკრიალებული ფანჯრები ჰქონდათ, რომ ქუჩიდან მშვენივრად ჩანდნენ დილის მზით აციგლიგებული ფიკუსები, ოლეოგრაფიები, ზაპოროჟელები რომ თურქეთის სულთანს წერილს სწერენ, ჭურჭლის კარადები და სავარძლებზე მთვლემარე კატები.

ქალაქგარეთ გამოცარიელებულ ბაღებში თავიანთ გვერდზე მოქცეულ ბუდეებზე შოშიები წამოსკუპებულიყვნენ, მზეზე თბებოდნენ და ხრინწიანი ხმით უსტვენდნენ.

ნავმისადგომთან კატერი იდგა, გვეგონებოდათ, ზამთარში გამოძინებულს დაუსვენია და დაუბანიაო. კატერი ახლად შეეღებათ, მინებიც კარგად დაეპრიალებინათ, თეთრ მილზე ლურჯი ზოლი ჰქონდა შემოვლებული.

კატერისაკენ თითო-ოროლა მგზავრი მიეშურებოდა, ისიც ძალზე ნელი ნაბიჯით. ამიტომ იყო ალბათ, რომ კატერის ახალგაზრდა კაპიტანი ლავაშივით გაბრტყელებული ქუდით, დაბამბულ ჯუბაში გამოწყობილი მატროსი და მემოტორე განუშორებელი ძენძით ხელში — თითოეულ მგზავრს ისეთი სიხარულით ხვდებოდნენ, როგორც უახლოეს ნათესავს.

ერთ უჟმურ დედაკაცს ზურგზე ტომარა მოეკიდა, რომელშიც გულისგამაწვრილებლად ჭყვიტინებდნენ გოჭები. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მგზავრის გამოჩენასაც კი არ გამოუწვევია უკმაყოფილება, როგორც მოსალოდნელი იყო.

მერე მოვიდა ცხვარივით ხუჭუჭთმიანი ქალიშვილი. უსაშველოდ ნაწყენი სახე ჰქონდა. რამდენსაც არ ეცადნენ კაპიტანი და მემოტორე გამოლაპარაკდნენ მას, ყველაფერზე ერთნაირად უგულოდ პასუხობდა:

— მე თქვენთან საუბარს, მოქალაქევ, სრულიად არ ვსაჭიროებ.

სულ ბოლოს ნაცნობი მებაღე გამოჩნდა ჩვენი ქალაქიდან. ეს ქალაქი მდინარის აყოლებით, ასე ოცდაათ კილომეტრზე იქნებოდა. მებაღე ფუსფუსა და საუბრის მოყვარული კაცი იყო. ქალაქის მცხოვრებლებმა მას ლევკოი* ნარცისოვიჩი** შეარქვეს კეთილი გულითა და ცოტა დაცინვითაც. თუმცა სახელად მებაღეს ლეონტი ერქვა, მამამისს კი — ნაზარი.

ლეონტი ნაზაროვიჩის სანუკვარი ოცნება იყო თავისი მშობლიური ქალაქი ყვავილების ბაღნარად გადაექცია, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე „ვეტროგრადად".

მისი დარგული იასამნისა თუ აკაციის ყოველი ძირი, როგორც თვითონ ამბობდა, სრულიად განსაკუთრებული ჯიშისა იყო, ძალზე ლამაზად ჰყვაოდა და საამო სურნელი ჰქონდა. სინამდვილეში საქმე არც მთლად ასე იყო, მაგრამ ლეონტი ნაზაროვიჩი ამაზე გულს არ იტეხდა და მისი კეთილშობილური სწრაფვა ამის გამო სრულიად არ კლებულობდა.

ლეონტი ნაზაროვიჩი მხოლოდ

---

* Левкой — ლევკოინი
** Нарцис — ნარგიზი

ძოლაპარაკე კაცი კი არ იყო, ის ძალზე სწრაფიც გახლდათ. ზამთარ-ზაფხულ ძველი ჟოკეის კეპი ეხურა და გატეხილი სათვალე ეკეთა. სათვალეს ცალი ყური ყოველთვის მოგლეჯილი ჰქონდა და მის მაგივრად ძაფი ჰქონდა გამობმული. ახალი ჩარჩოს საყიდლად ვერა და ვერ მოიცალა. ნაცნობ-მეგობრები რომ შენიშვნას მისცემდნენ ხოლმე გატეხილ სათვალეზე, ლეონტი ნაზაროვიჩი აჩქარებით პასუხობდა:

— ტყუილი ლაპარაკია! სადა მცალია! ახლა ახალ სკვერს ვაკეთებ, რის ვაი-ვაგლახით გამოვთხოვე ნებართვა ქალაქის საბჭოს. სათვალისთვის მცხელა?!

ამ სიტყვებში, რა თქმა უნდა, იყო რაღაც თავის გამოჩენის სურვილიც, მაგრამ ლეონტი ნაზაროვიჩს ამას ადვილად მიუტევებდნენ.

ლეონტი ნაზაროვიჩს გაუთავებელი ომი ჰქონდა ახალი ნარგავების გამო. მუდამ რაღაცას ამტკიცებდა, დავობდა, სპობდა მოწინააღმდეგეს, როცა ისეთ ხალხს დაიმოწმებდა, რომელთა შესახებ ამ ქალაქში წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ: ჰონზას დიდებული პარკების შემქნელს, ცნობილ ბოტანიკოსებს, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც პროფესორ კლიმენტი არკადის ძე ტიმირიაზევს („არ გინახავთ, ფილმიც კი არის იმაზე გადაღებული — „ბალტიკის დეპუტატი", იმას კი არ ემხრობით. რომ მიწის ყოველი მტკაველი უეჭველად უნდა გამწვანდეს").

მაგრამ ყველაზე დიდი ომი ლეონტი ნაზაროვიჩს ჰქონდა თავის ცოლთან — ერთ მოფლაშულ, დონდლო და მძინარა ქალთან, რომელიც მთელი დღე იჯდა და ამთქნარებდა უსაქმურობისაგან. იმისი აზრით, ლეონტი ნაზაროვიჩი ჩამჟავდა უბადრუკ პატარა ქალაქში, მაშინ, როცა მისი ადგილი თუ კრემლში არა, ლენინგრადის ზაფხულის ბაღში მაინც იყო.

გაზაფხულიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე, სიცივეების დადგომამდე ლეონტი ნაზაროვიჩი სკვერებში და სანაპირო ბულვარში ფუსფუსებდა, ზამთარში კი თავისი ქალაქის ისტორიას წერდა. ამ ისტორიამ ძალზე გაიტაცა. ნაპოლეონის ომებიდან მოყოლებული დაიწყო წერა, რადგან ყველაფერი მანამდელი ყალბი და არასაიმედო ეგონა.

ქალაქი მაღლობზე იყო გაშენებული ოკის ნაპირას, ირგვლივ ისეთი სივრცეები ერტყა, ხანდახან რომ გაჰხედავდი, გული საგულეს აღარ ეტეოდა.

თვით ქალაქის და მის გარშემო ტყეების, ჭალების და მინდვრების, სოფლების სილამაზე დიდი ხანია იზიდავდა აქეთ მხატვრებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ეს ადგილები რუსული ბუნების საუკეთესო გამოხატულებაა. ამიტომ იყო, რომ ქალაქის ისტორიის წერის დროს ლეონტი ნაზაროვიჩი მხატვრებს ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა. სიფერწერა მას ძალზე უყვარდა, სიამოვნებით კითხულობდა წიგნებს ხელოვნების საკითხებზე და ხარბად აგროვებდა რეპროდუქციებს.

ახლა ლეონტი ნაზაროვიჩს საოლქო ქალაქიდან უცვეთელის ნერგები და ერთწლიანი ყვავილების თესლები მოჰქონდა.

ლეონტი ნაზაროვიჩს თავისი თეორია ჰქონდა ადამიანის ფსიქიკაზე ნარგავების განსაკუთრებით კეთილისმყოფელი გავლენის შესახებ. კატერზე სწორედ ამ საკითხზე ჩამოაგდო საუბარი. თმახუჭუჭა გოგონას ეს არ სიამოვნებდა. ის სულ ერთთავად მხრებს იჩეჩავდა და დაცინვით ბრიცავდა ტუჩებს.

კატერი მხატვარ პოლენოვის ყოფილ კარმიდამოს მიუახლოვდა. ის ოაზისივით იდგა აფეთქებებით დანგრეულ გამომხმარ ნაპირზე. მდინარის მთელ ნაპირზე ყორექვას ანგრევდნენ. სულ ცოტა ხნის წინანდელი ფიჭვნარიდან ბალახის ღერიც აღარ შემორჩენილიყო.

აფეთქებებისაგან გრიალებდა მთელი ოლქი, ირყეოდა ნაგებობანი, ნაფოტებით ივსებოდა სანაოსნო მდინარე, ისპობოდა ნარგავები და, გეგონებოდათ, მდინარის ნაპირებს სწრაფად ედებაო მშრალი ეგზემა.

— გულისმომკვლელი სურათია! — მითხრა ნაზაროვმა. — ყველაფერი კი სიძუნწისა და ხელმომჭირნეობის ბრალია. ასეთი ქვა სადაც გნებავთ, იქ არის. მაგრამ ასე უმოწყალოდ იმიტომ ფლითავენ ამ ნაპირებს, რომ აქედან ქვის გატანა რამდენიმე კაპიკით იაფი ჯდება.

ჩვენ გული ვიჯერეთ, გამოვლანძღეთ უვიცი უფროსები, რომლებიც ამ ქვეყანაზე ერთადერთი კანონით ხელმძღვანელობენ „ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო". მერე ვილაპარაკეთ პოლენოვზე (ლეონტი ნაზაროვიჩი პირადად იცნობდა მას) და გავიხსენეთ დიდებული მხატვარი ბორისოვ-მუსატოვი, რომელიც ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა და გარდაიცვალა, და რომელიც ზედ მდინარის პირას, ფერდობზე არის დასაფლავებული.

ბორისოვ-მუსატოვს უყვარდა ეს ფერდობი. აქედან დახატა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო პეიზაჟი — ისეთი ფაქიზი და დამაფიქრებელი, რომ ალბათ სიზმარიც კი გეგონებოდათ, არყის თითოეული ყვითელი ფოთოლი მზის უკანასკნელი სითბოთი რომ არ იყოს გამთბარი.

შემოდგომის ასეთ დღეებში, როგორიც ამ სურათზეა გამოხატული, სურვილი გებადება რამდენიმე დღით მაინც შეაჩერო დრო, რომ უფრო ნელა ჩამოცვივდეს ყვითელი ფოთლები და ჩვენი თვალის წინ არ ქრებოდეს ასე სწრაფად დედამიწის ეს უკანასკნელი სილამაზე.

და აი, კეთილმა კუზიანმა მხატვარმა ბორისოვ-მუსატოვმა შეაჩერა ეს ბრწყინვალე შემოდგომა, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ძალზე ჰგავს მკაცრ თაფლისფერთვალება ქალიშვილს, დარდსა და ბედნიერებას რომ ორივეს ერთად გპირდება.

ბორისოვ-მუსატოვის საფლავზე ძეგლი დადგეს. სკულპტორ მატვეევის ნამუშევარი, წითელი ქვიშაქვისაგან. ქვაზე წევს მიძინებული ბიჭი. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ეს მიძინებული კი არა, დამხრჩვალი ბიჭია. სკულპტურა არაჩვეულებრივი ძალითა და ოსტატობით არის გაკეთებული.

როცა სულ უკანასკნელად ვიყავი ბორისოვ-მუსატოვის საფლავზე, ღობე შემონგრეული იყო, ძეგლის შორიახლოს თხები ბალახობდნენ, ყვითელი თავხედი თვალებით შემომცქეროდნენ და იქვე მდგარ ანწლს გამალებული ატყავებდნენ... მე ეს ვუამბე ლეონტი ნაზაროვიჩს, მაგრამ მან რატომღაც ყურადღება არ მიაქცია ჩემს ნათქვამს და, ლაპარაკის თემა რომ გამოეცვალა, ევროპაში ჩემი ამასწინანდელი მოგზაურობის ამბების გამოკითხვა დამიწყო.

— ყვავილებთან და მცენარეებთან დაკავშირებული რაიმე საინტერესო ამბავი ხომ არ გადაგხდენიათ თავს? მიყვარს ასეთი ამბები, — მითხრა მან.

მე ჰოლანდიის მუშათა დასახლების — შევენინგენის ამბები მოვუყევი. ბნელდებოდა, იქ რომ ჩავედით. განიერ ჯებირთან ჩრდილოეთის ზღვა ხმაურობდა. წყალზე მღვრიე ნისლი დაცურავდა. ამ ნისლიდან მოისმოდა მოსრიალე ბაკენების ზარების ნაღვლიანი ხმა. ვიწრო ნავსადგურში თევზსაჭერ ბოტებზე გასაშრობად გაეშალათ ნაირფერი იალქნები. დათაკრული ელაგა თევზის კასრები, სულ მთლად შავებში ჩაცმულ ქალებსა და ბავშვებს რიყის ქვით მოფენილ სანაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



როზე ხის ფეხსაცმელებით — საბოთი — პაკა-პუკი გაუდიოდათ.

სწრაფად ღამდებოდა. ჯებირზე ძველი შუქურა აანთეს, ის ტრიალებდა და ჰორიზონტს თანაბრად მიაფრქვია თავისი სინათლის სხივი. შუქურას შემდეგ დასახლების შორიახლოს ასობით სინათლე აელვარდა მინისაგან ნაგებ ღამის რესტორანში. აქ საქეიფოდ ჩამოდიოდნენ ჰააგიდან, ამსტერდამიდან და ბრიუსელიდანაც კი. ჩვენ რესტორანთან მივედით. მის წინ უზარმაზარი საბარგო მანქანა გაჩერებულიყო. გარშემო ბავშვები შემოჰხვეოდნენ. ფრაკიანი ლაქიები მანქანიდან სუმბულის ვაზონებს ტვირთავდნენ.

შუქურას სინათლე ყვავილებსაც გადაურბენდა ხოლმე და ისინი ფანტასტიკური შეფერილობისანი ჩანდნენ. ზოგიერთი გიაცინტი სანთლისა და ძველი ოქროსი გეგონებოდათ, ზოგი — ფირუზისა და თოვლისა, წითელი ღვინისა და შავი ხავერდის.

ბავშვები მონუსხულივით შეჰყურებდნენ ყვავილებს. მაღალ-მაღალი შოფერი მანქანის კაპოტს მიყრდნობოდა და ფაიფურის ჩიბუხს აბოლებდა. მან თითქოს შემთხვევით გაჰკრა გვერდი ერთ-ერთ ლაქიას, რომელიც ძალიან ჰგავდა ოსკარ უალდს. ლაქიას ხელიდან გაუვარდა ვაზონი. შოფერმა აიღო ოქროს სუმბული, მიწა შემოაბერტყა და ყვავილი გრძელ ღია ფერის ნაწნავიან, გამხდარ გოგონას გაუწოდა. მისი ქერა თმა განსაკუთრებით გამოირჩეოდა შავ კაბაზე.

გოგონა ჩაიკუზა, გამოსტაცა ყვავილი და დასახლებისაკენ მოკურცხლა. მას სიცილითა და ყვირილით გამოეკიდნენ ბავშვები.

გზაზე შუქურას სინათლემ გოგონას თავზე გადაუარა, დაბნეული სინათლე მის თმას დაეცა, მე კი ეს სცენა ჯერ დაუწერელი ზღაპრის ერთ თავად წარმომიდგა. ზღაპარში ნაამბობი უნდა ყოფილიყო ბაც ოქროსფერ ყვავილზე, რომელმაც თავისი სინათლე მეთევზის ქოხმახს მოჰფინა.

ლაქიამ ჯიქურ შეხედა შოფერს. შოფერმა გაუღიმა და მხრები აიჩეჩა. მერე ორთავეს გაეცინათ, მეგობრულად დაჰკრეს ერთმანეთს მხარზე ხელი და გაშორდნენ.

დაბურული მინის კედლის იქით კი, რესტორანში უკრავდა ჯაზი და სუმბულისა და აბიბინებული გაზაფხულის სურნელი იდგა.

— მაშ ასე, — თქვა ლეონტი ნაზაროვიჩმა, ეს ამბავი რომ მოისმინა. — ჩვენთან ბევრი რამ არ არის ჯერ კიდევ მოფიქრებული ადამიანის ცხოვრების გასალამაზებლად.

— მაინც რა? — ვკითხე მე.

— ისევ ყვავილებზე მოგახსენებთ, — მიპასუხა ფიქრში წასულმა ლეონტი ნაზაროვიჩმა. — ადამიანის ცხოვრება უნდა გალამაზდეს, უეჭველად. იმ სულელურმა გამოთქმამ, რომ ჩვენი ცხოვრება თუნუქის ნაჭერია — დიდი ხანია დრო მოჭამა. ყვავილები და სხვაც ბევრი რამ, რაც სულსა და გულს სიამეს ჰგვრის, გამუდმებით უნდა გვახლდეს თან ცხოვრების გზაზე. ეს ადამიანს უსაზღვროდ დიდსულოვანს ხდის.

კატერი ჩვენს ქალაქს მიუახლოვდა და მიქცევის შემდეგ ასიპებულ ნაპირს ცხვირით ჩაესო. მე და ლეონტი ნაზაროვიჩი ვიწრო ფიცრით ნაპირზე ჩამოვედით.

— დიდი ხანია, რაც ბორისოვ-მუსატოვის საფლავზე არ ყოფილხართ? — მკითხა ლეონტი ნაზაროვიჩმა, როცა ასწლიანი ტირიფის ქვეშ შევჩერდით. ხე კი არა, მძლავ-

რი არქიტექტურული ნაგებობა გეგონებოდათ, ნაცრისფრად შემოკაწული რაღაც ჯმუხი ტაძარი.

— გასული შემოდგომიდან.

— ეგ როგორ გემართებათ? — თქვა საყვედურის კილოთი ლეონტი ნაზაროვიჩმა. — სახელოვან თანამემამულეებს ივიწყებთ. კატერში გაწეული კომპანიისათვის დიდი მადლობა მომიხსენებია. ძალიან მასიამოვნეთ იმ გოგონას ამბის მოყოლით.

ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გადავწყვიტე ბორისოვ-მუსატოვის საფლავზე ახლავე წავსულიყავი, ნავსადგურთან იქვე სულ ახლოს იყო.

შორიდანვე შევამჩნიე, რომ საფლავს ღობე ჰქონდა შემოვლებული. შიგნით ყველაფერი დასუფთავებული იყო, ბიჭის ფიგურიდან თიხა ჩამოერეცხათ და სულ ახლახანს ნახევარ წრედ დარგული ბუჩქნარი ასრულებდა მძინარე ბიჭის ფიგურას.

ორი დღის შემდეგ ლეონტი ნაზაროვიჩს სანაპირო ბულვარზე შევხვდი, სადაც ის უცვეთელის ბუჩქებს რგავდა. მდინარის პირას სკამზე ჩამოვსხედით და გავაბოლეთ. ბოსტნებიდან წივის კვამლის სუნი მოდიოდა და გაუჩერებლად გაჰკიოდნენ მამლები — ალბათ გაზაფხულის სითბოს შეჰხაროდნენ.

მე კიდევ ერთი პატარა ამბავი ვუამბე ლეონტი ნაზაროვიჩს, რაფაელის საფლავზე რომში და ამ საფლავის მოხუც დარაჯზე, რომელიც ყოველ კვირა თავისი უბადრუკი ხელფასით ყვავილებს ყიდულობდა და საფლავზე აწყობდა. იქ ხომ დიდი იტალიელის ფაქიზი და კეთილი გული იყო დამარხული.

— მე ისე გავიგე, — მითხრა ლეონტი ნაზაროვიჩმა, — თითქოს ეგ ამბავი საგანგებოდ ჩემთვის მიამბეთ. იმ ღარიბი იტალიელის საქციელში მე ვხედავ დიდ ადამიანობას, ამ სიტყვის საუკეთესო და უდიდესი გაგებით.

— დიდ ადამიანობას, — გაიმეორა მან და ამოიოხრა, — ეს უნდა იყოს საფუძველი ჩვენი საერთო ცხოვრებისა.

რა თქმა უნდა, მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, როგორ გაალამაზა ბორისოვ-მუსატოვის საფლავი.

მდინარის ტყიანი მოსახვევიდან ნაცნობი კატერი გამოჩნდა. შორიდან ის იმ ერთ-ერთი ღრუბლის ანარეკლს ჰგავდა მდინარეში, ზედიზედ რომ მიჰქროდნენ ჩვენს თავზე გაზაფხულის ზეცაში.

თარგმნა ვ. ძიძიგურმა.





ზაქარია ფალიაშვილი — მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი

# ქართული მუსიკის ბერმუხა

Ქართველმა ხალხმა, ჩვენმა დიადმა სამშობლომ დიდი ზეიმით აღნიშნა ქართული მუსიკის გენიის, ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ეს იყო არა მარტო გენიალური კომპოზიტორის სახელოვანი იუბილე. არამედ ჩვენი ეროვნული კულტურის ზეიმიც.

100 წლის წინათ, 1871 წლის 3 აგვისტოს, ქუთაისში, პეტრე ფალიაშვილის ოჯახს კიდევ ერთი ვაჟი შეეძინა. ჩვილს ზაქარია დაარქვეს.

ზაქარიას მშობლები — პეტრე ივანეს ძე ფალიაშვილი და მარიამ პავლეს ასული მესარქიშვილი ქუთაისელი ქართველი კათოლიკები იყვნენ.

ზაქარიას მამა კათოლიკეთა ეკლესიაში გალობდა და ფიზგარმონზეც უკრავდა; დედასაც, კეთილი გულის დარბაისელ ადამიანს, ტკბილი ხმა ჰქონდა და სიმღერაც ეხერხებოდა; მას შვილები ხშირად შემოეხვეოდნენ ხოლმე გარს და სთხოვდნენ ემღერა რაიმე. ისიც სიამოვნებით უსრულებდა მათ თხოვნას.

ზაქარიას 17 და-ძმა ჰყავდა, რომელთაგან ხუთი — მუსიკოსი გამოვიდა: ივანე — ცნობილი დირიჟორი, ზაქარია — გენიალური კომპოზიტორი, პოლიკარპე — დირიჟორი, ჟანა — პიანისტი, ლევანი — კომპოზიტორი.

აი, რას ვკითხულობთ ზ. ფალიაშვილის „ავტობიოგრაფიულ ცნობებში“: „პატარაობიდანვე მთელს ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახში და-ძმებს ბუნებითად მუსიკალური ნიჭი დაგვყვება ,ეს ჩემის აზრით, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ, როგორც კათოლიკენი, ხშირად მოსიარულენი ეკლესიაში, სადაც ორღანის ნაზი ხმები სმენას ატკბობს და ანვითარებს, ჩვენც, და მომეტებულად კი მე და ჩემი უფროსი ძმა ივანე, რომელმაც პირველმა თავის უმცროს და-ძმებს ჩაგვინერგა სიყვარული მუსიკისადმი, ერთთავად ეკლესიაში ვიმყოფებოდით და ნელნელაობით შეუმჩნევლად ჩვენი მუსიკალური სმენაც ვითარდებოდა“...

მართლაც დიდი გავლენა მოხდინა ზაქარიას უფროსმა ძმამ ივანე ფალიაშვილმა — შემდგომში სახელგანთქმულმა დირიჟორმა — თავის და-ძმებზე. მან პირველმა გადადგა დამოუკიდებული ნაბიჯი მუსიკის შესასწავლად და უმცროსებიც გაიყოლია. სწორედ მან მიიყვანა ზაქარია თავის დროზე სახელგანთქმულ პიანისტ ფელიქს მიზანდართან, რომელიც ნიჭიერი ძმების პირველი მასწავლებელი გახდა. მიზანდართან მიღებული ცოდნა საფუძვლად დაედო მის შემდგომ მუსიკალურ განათლებას.

ზ. ფალიაშვილმა პირველდაწყებითი სწავლა ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში მიიღო. აქ მისი ძმა ივანე ფიზგარმონზე უკრავდა. მალე, მომავალი კომპოზიტორიც დაეუფლა ამ საკრავს, ამასთან მშვენიერი, წკრიალა ხმაც აღმოაჩნდა. რვა წლის ზაქარია უკვე ეკლესიაში გალობდა. ნორჩმა მგალობელმა მაშინვე მოიხვეჭა სახელი და საერთო ყურადღება მიიქცია. ძმების — ივანესა და ზაქარიას ქებამ მალე თბილისშიც ჩამოაღწია. 1887 წელს ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღოლმა ა. ხითარიშვილმა ნიჭიერი ძმები თბილისში გადმოიყვანა: ივანე —ორღანის დამკვრელად, ზაქარია კი — მის თანშემწედ და მგალობლად. ამან გამოიწვია ფალიაშვილების ოჯახის გადმოსვლა თბილისში. აქ მეტი გასაქანი მიეცა ზაქარიას თავისი ბუნებრივი ნიჭის ასაყვავებლად. იგი ხდება ლადო აღნიაშვილის გუნდის აქტიური წევრი, სწავლობს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკის ნიმუშებს...

თბილისში ზაქარია პირისპირ დადგა ქართული ხალხური ჰანგის სიდიადის წინაშე; მისი ღრმად შესწავლის, შეგროვებისა და დამუშავების სურვილი გაუჩნდა. მალე თვითონაც აყალიბებს მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდს, რომელიც წარმატებით ასრულებს მის მიერ დამუშავებულ ქართულ ხალხურ სიმღერებს. ყოველივე ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზაქარიას შემდგომი მოღვაწეობისათვის.

1895 წელს ზაქარია ფალიაშვილი შედის თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მუსიკის თეორიისა და ვალთჰორნის კლასში. აქ მან თავისი უზადო მუსიკალური მონაცემებით პედაგოგთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. აქვე სცადა ზაქარიამ თავისი თავი კომპოზიციაში. სწერს სონატებს ფორტეპიანოსათვის, რომანსებს, საგუნდო ნაწარმოებებს, ოთხხმიან მესას, საეკლესიო საგალობლებს, ამუშავებს ხალხურ სიმღერებს, მართავს კონცერტებს...

ქართველი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა ზაქარია ფალიაშვილის კონცერტებს. დარბაზი მუდამ სავსე იყო ხალხით, პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსის ხელოვნებას. აი რას წერდა გაზეთი „ივერია“ ერთ-ერთ ნომერში: „ფალიაშვილს ემჩნევა საიმედო შრომისმოყვარეობა, ნიჭი და მომეტებული მიხვედრა საეროვნო მოტივებისა. საზოგადოება, როგორც ქართველი, ისე სხვა ტომისა, ყოველთვის კმაყოფილი დარჩენილა ფალიაშვილის ხოროს გალობითა და იმედია ამ ბეჯით მოსწავლე-კაცს თანაგრძნობას არ მოაკლებს, რომ გზაზედ დამდგარს ღონისძიება მისცეს უმაღლესი სამუსიკო სწავლა შეიძინოს და ამ სწავლისა და შრომის შემწეობით გამოადგეს ჩვენს საეროვნო საქმეს“...

მართლაც, თბილისის სამუსიკო სასწავლებელი რომ დაამთავრა, 1900 წელს ზაქარია ფალიაშვილი მოსკოვს მიემგზავრება, შედის კონსერვატორიაში მუსიკის თეორიის კლასში, სადაც ცნობილი რუსი კომპოზიტორისა და პედაგოგის სერგეი ტანეევის ხელმძღვანელობით ეუფლება კომპოზიციის თეორიას.

მუყაითმა ზაქარიამ ძალზე ნაყოფიერად გამოიყენა მოსკოვში გატარებული წლები. მიხეილ ქორელმა შემოგვინახა მოგონება მოსკოვში სტუდენტ ზაქარიასთან შეხვედრის შესახებ:

„მე და სანდრო კვალიაშვილი ზაქარია ფალიაშვილს ვესტუმრეთ. კიბეზე და დერეფანში ნელი აკორდები მოგვესმა. აკორდები ერთიმეორეს მისდევდა, იცვლებოდა, მინორიდან მაჟორზე გადადიოდა.

— დიდ მუსიკალურ ყურთასმენას ვერ დავიკვეხნი, — თქვა სანდრომ,—მაგრამ ვგრძნობ, რომ ქართული მუსიკაა. ძალიან სერიოზულად მეცადინეობს... დარწმუნებული ვარ, მომავალში კარგ სახელს მოიხვეჭს.

შევედით. დიდი ხალისით შეგვხვდა.

— დაბრძანდით, ახლავე სამოვარს შევუკვეთავ.

განჯინიდან ხმელი კუპატი და კომში გამოიტანა.

— შეექეცით, ჩვენებურია. გუშინწინ მივიღე...

ოთახს გადავხედე: სადა და მყუდრო იყო. სუფთად დალაგებული.

— ოთახს შენ თვითონ ალაგებ, ზაქრო?

— მე თვითონ... პატარაობიდანვე დაჩვეული ვარ. დაულაგებელ ოთახში მუშაობას ვერ ვახერხებ.

— აბა, ზოგიერთი სტუდენტის ოთახში შეიხედე... ლოგინი ანგრეულია, ფეხსაცმელი მაგიდაზეა, წიგნები მაგიდის ქვეშ...

ზაქარიამ გაიღიმა და არაფერი არ უპასუხნია.

— თქვენ, ეს-ეს არის, უკრავდით... ხელი ხომ არ შეგიშალეთ? განაგრძეთ.

— არა, არა! ვვარჯიშობდი.

— ქართული აკორდები მესმოდა და...

— დიახ, გამოიცანით, — სიამოვნებით აღნიშნა მან, — ქართულ ჰანგებს ვამუშავებ, ჩემთვის... ევროპული და რუსული მუსიკის ძირითად კანონებს ვეცნობი, ქართულ ხალხურ მუსიკას ვადარებ..

— მერედა?

— ჩვენი სიმღერები ყოველთვის თავისებურია, სხვა ხალხის სიმღერებს სრულებით არა ჰგავს! მათი შექმნის საფუძვლები, მათი ზრდის და განვითარების გზები და მეთოდები მაინტერესებს. ჯერ ევროპული მუსიკის განვითარების მეთოდებს დავეუფლები, შემდეგ ჩვენი მუსიკის მეთოდებს უნდა დავეუფლო და მაშინ...

გატაცებით ლაპარაკობდა. ეტყობოდა, მის გონებაში რაღაც იდუმალი აზრები, განზრახვები მეტყველებდნენ.

— მაშინ?

პასუხად პიანინოს მიუჯდა. იმპროვიზაციას ჰგავდა. აქა-იქ კახური „მრავალჟამიერის", „შაშვი—კაკაბის". „ალიფაშას" ხმები ისმოდა გაკვრით, ამავე დროს მთლიან რასმე წამოადგენდა. უცებ შეწყვიტა.

— ხედავთ, რა სიძლიერეა, რა ფერადებია ამ ხმებში! აი რა განძი აქვს ჩვენს ხალხს!

აღელდა, პიანინოს მიუბრუნდა და თავისი იმპროვიზაცია განაგრძო. ისმოდა რაღაც ძლიერი ღრმა მუსიკალური ენით მოთხრობილი ამბავი"...

**1903** წელს ზ. ფალიაშვილი ამთავრებს კონსერვატორიას, ბრუნდება თბილისში და მთელი გატაცებით ებმება ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში — მუსიკალურ სასწავლებელში, სკოლებსა და კონსერვატორიაში პედაგოგიურ მუშაობას ეწევა, აწყობს მთელ რიგ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხური სიმღერების ჩაწერის მიზნით, გამოსცა ქართულ საეკლესიო საგალობელთა კრებულები. ფალიაშვილი ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა, წლების მანძილზე იყო ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული მუსიკალური სკოლისა და კონსერვატორიის დირექტორი, ხელმძღვანელობდა მუშა-მოსამსახურეთა გუნდს, ხშირად დირიჟორობდა თავის და სხვა ავტორთა ნაწარმოებებს, მუშაობდა კომპოზიციაში...

ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი მის ოპერებს უკავია. ეპიკური სიდიადით აღბეჭდილი მუსიკალური ტრაგედიის „აბესალომ და ეთერის", ლირიკულ-დრამატული „დაისისა" და გმირულ-პატრიოტული „ლატავრას" სახით ფალიაშვილმა შექმნა ისეთი შედევრები, რომელნიც მარად უკვდავნი არიან. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო იზრდება ინტერესი მათდამი, მით უფრო ნათელი ხდება მათი შემოქმედის ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. ფალიაშვილის „აბესალომი", „დაისი" და ლატავრა" ის სამი დედაბოძია, რომელსაც ემყარება ახალი დროის ქართული მუსიკალური ხელოვნება.

ოპერა „აბესალომ და ეთერის" პრემიერა **1919** წლის **21** თებერვალს შედგა. დამდგმელი რეჟისორი იყო ალ. წუწუნავა, დირიჟორობდა ავტორი; ლიბრეტო, აგებული ხალხური ლეგენდის „ეთერიანის" სიუჟეტზე, ეკუთვნის პ. მირიანაშვილს. ოპერაში გამოდიოდნენ მომღერლები: ზ. ზალპისკი (აბესალომი), ო. ბახუტაშვილი-შულგინა (ეთერი), ს. ინაშვილი (მურმანი), გ. ქურხული (აბიო. მეფე). თეატრის დარბაზში ტევა არ იყო. მეორე აქტის შემდეგ ზაქარიას ოვაცია გაუმართეს და მხურვალე სიტყვებით მიმართეს. სპექტაკლი ნაშუაღამევის სამის ნახევარზე დამთავრდა. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ აბესალომის როლის შესრულება საქართველოს ბულბულმა ვ. სარაჯიშვილმა დაიწყო, რამაც კიდევ უფრო მაღალ მწვერვალზე აიყვან ეს ოპერა. „აბესალომის" ყოველი დადგმა საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა. სპექტაკლის შემდეგ ვ. სარაჯიშვილსა და ს. ინაშვილს გუნდ-გუნდად მიჰყვებოდა ხოლმე ხალხი ქუჩაში...

კომპოზიტორის მეორე ოპერის — „დაისის" პრემიერა **1923** წელს შედგა. (ოპერის ლიბრეტო ვალერიან გუნიასი. დამდგმელი-რეჟისორი — კ. მარჯანიშვილი) ხალხურ მუსიკალურ ნიადაგზე აღმოცენებული ეს ნაწარმოები, თავისი დახვეწილი, კლასიკურად სრულყოფილი ფორმებითა და ხატოვანი მუსიკით, ხალხისავე კუთვნილებად იქცა. დიდი ნაწილი „დაისის" არიებისა, დუეტებისა თუ ინსტრუმენტული ნაწყვეტებისა ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

რაც შეეხება ზ. ფალიაშვილის მესამე ოპერას — „ლატავრას", იგი კომპოზიტორის შემოქმედებითი გზის ახალი ეტაპია. ოპერას საფუძვლად დაედო. ს. შანშიაშვილის ამავე სახელწოდების დრამა. პრემიერა შედგა **1928** წელს კომპოზიტორის ძმის— ივანე ფალიაშვილის დირიჟორობით (რეჟისორი — კ. მარჯანიშვილი), „ლატავრა" იყო ცდა გმირულ-პატრიოტული ოპერის შექმნისა ხალხურ საწყისებზე და, ამდენად, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს, როგორც მუსიკალური, ასევე ისტორიული თვალსაზრისით.

კომპოზიტორის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო სიმღერები, რომლებიც ხასიათდებიან მელოდიურობით, ნატიფი ეროვნული იერით და ადვილად მისაწვდომია ბავშვთა შესრულებისათვის. კომპოზიტორის საბავშვო სიმღერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ცაფირუზ", „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი", „მოკვდა კამეჩი ბეხია", „შობის ხის სიმღერა" („ნაძვის ხე",), „ჯეჯილი", „დანამა"... სიმღერები დაწერილია სხვადასხვა დროს. **1922** წელს ავტორს შეუკრებია ისინი და კრებული შეუდგენია. **1970** წელს კი გამოიცა ზაქარიას საბავშვო სიმღერების კრებული კომპოზიტორის ძმისწულის — ვ. ფალიაშვილის რედაქტორობით.

ზ. ფალიაშვილის არაერთი ნაწარმოები შევიდა მუსიკალური სკოლებისა თუ სასწავლებლების სასწავლო პროგრამაში. მისი ქმნილებები დიდი პოპულარობით სარგებლობენ თვითმოქმედ კოლექტივებშიც.

ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება უაღრესად ხალხური, რეალისტური, მაღალიდეური და ჰუმანურია. ამიტომაა იგი სავსებით მისაწვდომი ყველა ეროვნების წარმომადგენელთათვის, ზაქარია ფალიაშვილი საქართველოს სიამაყე და დიდებაა, ხოლო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა — ქართველი ერის ფასდაუდებელი საუნჯე.

ეთერ ლონდარიძე,
მუსიკისმცოდნე.

ა. დრიძო

# ბიჭი მამაკაცი ხდება



**შვილო ჩემო, დღეიდან შენ მამაკაცი ხარ. დაამუშავე შენი ყანა და დაიცავი იგი, გაატარე შენი ცხოვრება ისე, რომ შენ შემყურეებს, შენ შვილებსაც მოუნდეთ ნამდვილ მამაკაცად გახდომა.**

ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, სამი ათას შვიდასი წლის წინათ შეიქმნა შუმერში. ეს გახლავთ მამის სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავს თავის მოზარდ ვაჟს.

„შენ, უსაქმოდ რომ დახეტიალობ ხალხმრავალ მოედნებზე, გაქვს თუ არა რაიმე წარმატების მიღწევის სურვილი? თუ გაქვს, მაშ გადაავლე თვალი თაობებს, რომლებიც შენამდე იყვნენ — შედი სკოლაში, ეს სიკეთეს მოგიტანს. შვილო ჩემო, გადახედე შენს წინამორბედებს, ჰკითხე მათ. შენ მოქანცე ჩემი გული... იმიტომ, რომ შენ ისე არ იქცევი, როგორც ნამდვილ კაცს შეეფერება. ჩემი გული თითქოს ბოროტმა ქარმა დააზრო. შენი ქცევით მე შენ სიცოცხლე მომისწრაფე... სხვები, შენი თანატოლები შრომობენ, მშობლებს ეხმარებიან, შენ კი შენი ვაჟკაცობა მხოლოდ სიჯიუტით გინდა დაამტკიცო. მაგრამ იმათთან შედარებით შენ ვაჟკაცობისა არა გცხია რა...“

აბა რომელ ჩვენთაგანს არ სმენია ასეთი სიტყვები? ახლა უკვე აღარავინ წერს ლურსმული დამწერლობით. პირისაგან მიწისა გაქრა ეს ხალხიცა და მათი სახელმწიფოც, მაგრამ ამ უძველესი წერილობითი დოკუმენტის შინაარსი კვლავ ძველებურად საჭირბოროტოდ ჟღერს. მოკლედ რომ ვთქვათ, მოზარდის პრობლემა — „გარდამავალი ასაკის პრობლემა“ სამყაროსავით ძველია.

რა ასაკიდან ითვლება ადამიანი მოზრდილად? ამაზე ათასი სხვადასხვა აზრი არსებობდა და არსებობს.

„როცა იგი იარაღის ტარებას შესძლებს“ — უპასუხებდნენ ავარელები და ამ აზრს იზიარებდნენ დაღესტნის სხვა ხალხებიც.

„როდესაც იგი შესძლებს მოზრდილივით ხარჯოს ფული“ — ამტკიცებს ამერიკელი ფსიქოლოგი დენი.

„როცა იგი ოჯახის შექმნას შესძლებს“, „როცა თავის რჩენას შესძლებს“ — ამ მსჯელობათა ავტორების დასახელება ძნელია, რადგან ისინი ურიცხვნი არიან.

როდის, როდის, როდის... მაინც როდის? ამ პრობლემის ხსენებაც არ იქნებოდა, შესაძლებელი რომ იყოს ერთ მშვენიერ დღეს ბავშვს უთხრა: „აბა, დღეის ამას იქით შენ უკვე დიდი ხარ, დაეხსენ, გეთაყვა, მაგ სათამაშოებს და იყავ მოზრდილი ადამიანი!“

მაგრამ, საუბედუროდ, საქმე სულ სხვაგვარადაა. ბავშვობასა და მოზრდილობას შორის დევს გარდამავალი ასაკის ბობოქარი პერიოდი, როცა ერთ წუთში კაცს შეუძლია მოისმინოს „შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ“ და „შენ უკვე დიდი ხარ“ და ორივე ეს შენიშვნა თანაბრად მართალი და გულწრფელი იქნება.

მაგრამ იყო დრო, როცა კაცობრიობისათვის ჯერ უცნობი იყო ეს პრობლემა. და ახლაც, ჩვენს დროში, არიან ტომები, სადაც ეს პრობლემა არ არსებობს.

ეს ტომები საგვარეულო წყობის პირობებში ცხოვრობენ. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ასეთი საზოგადოება მკაცრად არის დაყოფილი ასაკობრივ კატეგორიებად, ზუსტად განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით. ჩვეულებრივ, ასეთი სამი კატეგორიაა: ბავშვები, ახალგაზრდები და უფროსები. სხვა-





კალიმანტანზე მცხოვრები პატარა დიაკები ზეიმით, უხმოთ მიდიან კურთხევის ადგილისაკენ. წელზე ნამდვილი ხმლები ჰკიდიათ, მაგრამ ჯერ უფლება არა აქვთ მათი ქარქაშიდან ამოღების, ამ უფლების მოსაპოვებლად, ჯერ კიდევ სხვაც ბევრი რამ უნდა ისწავლონ, რასაც სამხედრო მამაცობასთან საერთო არაფერი აქვს. მაგალითად ჭილობის მოწვნა.

დასხვა ხალხებში სხვადასხვაგვარად ხდება ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, მაგრამ ყველა მათგანთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უფროსთა კატეგორიაში გადასვლას. ამ კატეგორიაში რომ გადახვიდე, უნდა ჩააბარო „გამოცდა“, სადაც მხოლოდ ორი შეფასებაა: „ჩააბარა“ და „ვერ ჩააბარა“. ის, ვინც ჩააბარებს, ხდება ტომის სრულუფლებიანი წევრი, ხოლო ვინც ვერ ჩააბარებს (ასეთები ცოტანი არიან), იმათი ბედი სავალალოა. ინდიელ-ოჯიბვეელთა ტომში ყმაწვილს, რომელიც ამ გამოცდას ვერ ჩააბარებდა, ქალის კაბას აცმევდნენ და ყველაზე შავ სამუშაოს მიუჩენდნენ. ავსტრალიელი აბორიგენები ასეთ ადამიანს მთელი სიცოცხლე ბავშვად შერაცხავდნენ და, ვიდრე თმა გაუჭაღარავდებოდა, მას ბავშვებთან უნდა ეთამაშა, ყოველგვარი მორთულობის გარეშე შიშველს უნდა ევლო და მორჩილად აეტანა გვარის ყველა მოზრდილისაგან ლანძღვა და შეურაცხყოფა.

მოზრდილობაში გადასვლას თან ასლავს ინიციაცია (ლათინურ სიტყვისაგან „initiatio“ — რაც ხელთდასხმას, კურთხევას ნიშნავს), რომლის დროსაც ყმაწვილს ასწავლიან ყველაფერს, რაც ცხოვრებაში დასჭირდება, ასწავლიან ნადირობას, მიწის დამუშავებას, კალათებისა და ჭილობის მოწვნას, ასწავლიან გვარის კანონ-წესებს, შეაგონებენ „რა არის კარგი და რა არის ცუდი“. მოთმინებით განუმარტავენ როგორ უნდა ეჭიროს თავი დიდ ადამიანს ყოველგვარ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. ამასთან დაწვრილებით უამბობენ როგორ ისჯება ის, ვინც გვარის კანონს დაარღვევს.

დიდი და პატარა სრულიად სხვადასხვა ადამიანებად მიაჩნიათ დედამიწის უშორეს კუთხეებში მცხოვრებ პირველყოფილ ტომებს. ამიტომ თვლიან, რომ ერთი ადამიანი — ბავშვი — კვდება იმისათვის, რომ დაიბადოს ახალი ადამიანი — დიდი.

ავსტრალიელ კამილართა ტომის მოხუცები როცა გადაწყვეტენ, რომ დროა ყმაწვილმა ინიციაცია გაიაროსო, იგი ბანაკიდან გაჰყავთ, ქალები ამას სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ: ყვირიან, მოთქვამენ, ცდილობენ ბიჭი მოხუცებს ხელიდან გამოჰგლიჯონ. ქალებს ბიჭის მამაც ეხმარება, მაგრამ მოხუცები ბიჭს გადაჯვარედინებულ შუბებზე აწვენენ და მიჰყავთ. ტანს წითელი ჟანგმიწით უღებავენ. ასე იქცევიან ყოველთვის დაკრძალვის ცერემონიალის შესრულებისას. ბიჭს ნამდვილი მიცვალებულივით უჭირავს თავი. შეკითხვებზე არ პასუხობს და, რამდენიც არ უნდა ჩხვლიტონ და ჯგლემონ, წარბსაც არ შეარხევს.

პირველ რიგში ბიჭს კბილს ჩაუმტვრევენ. ეს კურთხევის დასაწყისია. კბილი ხელიდან ხელში გადადის, შორეულ ბანაკებში მიაქვთ და ამით მტერ-მოყვარეს აუწყებენ, რომ ბიჭი კურთხევას გადის. შემდეგ კბილს მარხავენ. ეს სიმბოლურია. ბავშვი მოკვდა და მას ასაფლავებენ. ამის შემდეგ ხელთდასხმული შინ აღარ ბრუნდება. იგი არცერთმა ქალმა და არცერთმა უცხო მამაკაცმა არ უნდა ნახოს. ისინი ყველას ემალებიან. მხოლოდ მამებს მიაქვთ მათთან საჭმელი. არავითარი საბაბით არა აქვთ უფლება თავიანთი გვარის ბანაკში მისვლის: „ისინი აღარ არიან ამ ქვეყნად“. „არყოფნა“ თითქმის ერთ წელს გრძელდება. მთელი ამ წლის მანძილზე მოზარდები სწავლობენ. თითოეულ ბიჭს ჰყავს მასწავლებელი, რომელიც „ცოლის ბიძად“ იწოდება. იგი ხელმძღვანელობს ბიჭის წვრთნას, ეუბნება რა უნდა გააკეთოს, ეხმარება სიძნელეების დაძლევაში. ერთი წლის სწავლების განმავლობაში ბიჭი ერკვევა წმინდა წესების რაობაში. მას შთააგონებენ, რომ ყველაფერი, რაც მან ნახა და გაიგო, საშინელი საიდუმლოებაა, რომელიც არავის არ უნდა გაანდოს.

დაბოლოს, როცა ყველა ეს გამოცდა ჩაბარებულია, დგება „ცეცხლის ცერემონიის“ რიგი. ხელთდასასხმელები ცეცხლის ირგვლივ სხდებიან და ცეცხლის ალს მიშტერებულები წმინდა საგალობელს მღერიან. მღერიან, ვიდრე ცეცხლი არ მინავლდება. მაშინ კი უხუცესის განკარგულებით, ისინი შიშველი ფეხებით იწყებენ ნაკვერჩხლების ჩაქრობას.





**კურთხევის სხვადასხვა ადათ-წესი აქვს თვითოულ ტომს, მაგრამ ერთნაირად გამოხატავენ სიხარულს უფროსები, როცა მათი ბიჭუნები მამაკაცები ხდებიან.**

ხოლო, როცა უკანასკნელი ნაკვერჩხალი ჩაქრება,ირგვლივ გაისმის გამაყრუებელი ყიჟინი: უფროსები ესალმებიან ახალდაბადებულ მოზრდილ მამაკაცებს.

ახლა, ვიდრე გვარის ბანაკს დაუბრუნდებოდნენ, ამ ახალგამომცხვარ მამაკაცებს კიდევ ერთი რიტუალის შესრულება უხდებათ, ეს უკვე განბანვაა, ამით ისინი იცილებენ ინიციაციის ყოველგვარ გარეგნულ ნიშანს, რომელიც შეიძლება შენიშნონ იმათ, რომელთაც არა აქვთ უფლება ნახონ და იცოდნენ ყველაეფრი ის, რაც უფროსმა მამაკაცებმა იციან...

მამაკაცად საკურთხებელი ყმაწვილი თითქმის ყველა გვაროვნულ წყობით მცხოვრებ ხალხებში „კვდება". გამოცდა, რომელსაც იგი გადის, ვიდრე „ხელმეორედ დაიბადებოდეს", უმეტეს შემთხვევაში ძალიან მძიმეა. მაგალითად, გვიანის ტაულიპანგის ტომის ხალხში ასეთ შემთხვევაში საკურთხებლად გამზადებულ ბიჭუნებს ტანზე ასხამენ წითელ ჭიანჭველებს, რომლებიც ცნობილი არიან საოცარი სიმწარის ნაკბენით. ბიჭუნამ კი ასობით ამ საშინელი ჭიანჭველის კბენა უნდა აიტანოს და თანაც იცინოს და ეხუმროს მის ირგვლივ შემოკრებილ ხალხს. აპარაის ტომის ხალხებში კი „მამაკაცობის კანდიდატებმა" უნდა იცეკვონ და იმღერონ მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ, ვიდრე ილაჯგაწყვეტილები არ დავარდებიან მიწაზე. აპარაები მონადირე ხალხია, მონადირეს კი უნდა შეეძლოს ნადირის დადევნება, და როგორ სწრაფადაც არ უნდა გარბოდეს იგი, უნდა დაეწიოს და მოკლას. სულ რამდენიმე წუთს აცლიან დავარდნილ ბიჭუნას სულის მოთქმას, მერე ქოხში შეჰყავთ, იქ იგი იხურავს ფრინველთა ფრთებისაგან გაკეთებულ თავსამკაულს, იღებს ფლეიტას, მშვილდ-ისარს — და კვლავ მთელი ღამე — განთიადამდე ცეკვავს! განთიადზე შამანი მას თმას შეკრეჭს, კისერზე ყელსაბამს ჩამოჰკიდებს და მიართმევს სიცოცხლეში პირველ წინსაფარს — მოზრდილი მამაკაცის სამოსს.

●

დიდი ცხოვრებისათვის ბავშვის მომზადებას ყველაზე ადრე ასაკიდან იწყებდნენ ჩრდილოამერიკელი ინდიელები: ბიჭს ჯერ კიდევ აკვანში უწყობდნენ შუბს და მშვილდ-ისარს. ცხადია, ეს იარაღები პაწაწკინტელა იყო, მაგრამ აუცილებლად ნამდვილი — ამ მშვილდისრით შეიძლებოდა სროლა, შუბით — ჩხვლეტა. იზრდებოდა ბავშვი, იზრდებოდა სათამაშოების მოცულობაც. კურთხევის ჟამამდე დიდი ხნით ადრე იწყებდნენ ბავშვის წვრთნას მამა და პაპა. ასწავლიდნენ სირბილს, ხეზე ძრომას, ყინულივით ცივ წყალში ცურვას, ცხენის ჭენებას.

ახლა იმისათვის, რომ მეომარი გამხდარიყო, ბიჭს სიზმარში უნდა ენახა რაიმე ცხოველი — მომავალი მისი მფარველი. ბიჭი მიდიოდა ტყეში, რამდენიმე დღე შიმშილობდა, მხოლოდ შამანის მოცემულ რაღაც სასმელს სვამდა, ამ სასმელისა და შიმშილისაგან ეწყებოდა ჰალუცინაცია და, ვინაიდან მტკიცედ სწამდა, რომ მას აუცილებლად უნდა გამოსცხადებოდა მფარველი, მფარველი მართლაც ესიზმრებოდა...

იმ ხალხებში, რომელთაც საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს, მამაკაცად შერაცხვის ცერემონიალი უფრო რთულია. ასე მაგალითად, დასავლეთ აფრიკაში არსებობდნენ თავისებური „უნივერსიტეტები", სადაც სწავლობდნენ მომავალი მამაკაცები.

ამრიგად, ყველა ხალხს სხვადასხვა წეს-ჩვეულება აქვს და, ამდენად, მამაკაცად შერაცხვის სხვადასხვა ცერემონიალი. ვფიქრობთ, მათ შორის ყველაზე მარტივია ის ცერემონიალი, რომელიც აფრიკელი ზანდეს ტომის მესაქონლეებსა და მიწათმოქმედებს ჰქონდათ.

მამა ვაჟიშვილს გადასცემდა თოხსა და შუბს, მერე მხარზე ხელს დაადებდა და ეუბნებოდა:

„შვილო ჩემო! დღეიდან შენ მამაკაცი ხარ, დაამუშავე შენი ყანა და დაიცავი იგი. გაატარე შენი ცხოვრება ისე, რომ შენს შემყურეებს, შენს შვილებსაც მოუნდეთ ნამდვილ მამაკაცებად გახდომა".

აბა რომელი მამა — შუმერებიდან მოყოლებული დღემდე იტყოდა უარს ამ სიტყვებზე?..

ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა"



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი მევიოლინესი და პატარა ჩიტისა

ზღაპარი

გურამ პეტრიაშვილი

მხატვარი ზურაბ ფოცხიშვილი

პატარა ქალაქში მევიოლინე ცხოვრობდა.

მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა. ცოტას დაუკრავდა და გაჰხედავდა ცას. კვლავ დაუკრავდა და კვლავ გაჰხედავდა, რამდენზე გადავიდა მზეო.

მოუთმენლად ელოდა საღამოს მოსვლას.

მოსაღამოვდებოდა თუ არა, ჩაიცვამდა ძველ ფრაკს, ამოიღლიავებდა ვიოლინოს და გასწევდა ქალაქის მოედნისაკენ.

დადგებოდა შუა მოედანზე მევიოლინე და გასძახებდა:

— ეჰეი, ხალხო, მოდით, მომისმინეთო.

მაგრამ რა დასამალავია, არც ახლა მოსწონს ბევრს ვიოლინოს ხმა და მის მოსასმენად არც მაშინ მორბოდნენ კისრისტეხით.

მხოლოდ რამდენიმე მსმენელი თუ მოიყრიდა ხოლმე თავს მოედანზე.

მევიოლინე არ იმჩნევდა წყენას.

დახუჭავდა თვალებს და აამღერებდა ვიოლინოს.

უკრავდა დიდხანს, თავდავიწყებით.

დაკვრას რომ მორჩებოდა, გაახელდა თვალებს და ნახავდა: დაღამებულიყო უკვე, დაფანტულიყვნენ მსმენელნი.

ფარნების მკრთალი შუქით განათებული იდგა მევიოლინე ერთ ხანს, რაღაცას ფიქრობდა. მერე ნაღვლიანად გაიღიმებდა და გაუყვებოდა ქუჩებს შინისაკენ...

მეორე დღეს კვლავ იჯდა ფანჯარასთან, უკრავდა და ელოდა საღამოს.

მაგრამ არ მატულობდა მსმენელთა რიცხვი.

მაშინ ეს იფიქრა მევიოლინემ: იქნებ ყველაფერში ვიოლინოა დამნაშავეო.

წავალ, ისეთ ხეს ვიპოვი, რომ მისგან გამოჭრილმა ვიოლინომ მსმენელი გააოცოსო...

დაეხეტებოდა მევიოლინე ტყეში. მიუახლოვდებოდა რომელიმე ხეს, დააკაკუნებდა ზედ და მიუგდებდა ყურს. მერე შუბლს შეიჭმუხნიდა და ახლა სხვა ხეზე დააკაკუნებდა.

მთელი ქვეყანა შემოიარა მევიოლინემ იმ ხის ძებნაში.

...და ერთხელ ხის ძირას პატარა ჩიტი იპოვნა, ფრთებმომტვრეული. აიყვანა და წყაროს წყალი აპკურა.

ჩიტი გონს მოეგო და მევიოლინემ ჰკითხა, რა დაგემართაო.

— მინდოდა ცაში ავფრენილიყავი, სულ მაღლა, მაღლა.... მაგრამ ფრთები დამეღალა და ჩამოვვარდი, — თქვა ჩიტმა და ატირდა.

მევიოლინე გაოცდა. ჩიტი ფრთხილად ჩაისვა უბეში და გამოეშურა ქალაქისაკენ.

დიდხანს უვლიდა ჩიტს მევიოლინე. მალამოს ადებდა ფრთებზე. თავს დასტრიალებდა. ეუბნებოდა, ნუ გეშინია, კვლავ გაფრინდები ცაშიო.

ისე თავდავიწყებით ზრუნავდა ჩიტზე მევიოლინე, რომ ვიოლინო სულაც გადაავიწყდა.

მისი სახლიდან ვიოლინოს ხმა რომ აღარ ისმოდა, ძალიან უკვირდათ გამვლელებს. ერთი კაცი კი ცას ეწეოდა სიხარულით.

ეს კაცი მევიოლინეს მეზობელი იყო. კაცს ჭამა ძალიან უყვარდა, მუსიკა კი ჭამის მადას უკარგავდა. ჰოდა, ასე ეგონა, თუ ვინმე მღერის ან უკრავს, ჩემი ჯიბრით უკრავს და მღერისო.

ახლა, მევიოლინე რომ აღარ უკრავდა, მეზობელი კმაყოფილი და ბედნიერი იყო.

მაგრამ ბოლოს შეეშინდა, ვინ იცის, რას ამზადებს მევიოლინე ჩემს წინააღმდეგო.

მიეპარა და შეიჭყიტა ფანჯრიდან. დაინახა, როგორ დასტრიალებდა მევიოლინე ჩიტს და როგორი სიფრთხილით ადებდა მალამოს მომტვრეულ ფრთებზე.

ღიპიანმა იფიქრა, ცუდადაა საქმე, ამ ჩიტს რომ მოარჩენს, გახარებული აღარც დღე მომასვენებს და აღარც ღამე თავისი ვიოლინოს წრიპინითაო.

ჰოდა, მევიოლინემ და ჩიტმა რომ დაიძინეს, შეიპარა სახლში და მოიტაცა ჩიტი.

დილით ჩიტმა რომ გაიღვიძა, ნახა — გალიაში იჯდა.

ატირდა ჩიტი. მას უკვე ისე შეუყვარდა მევიოლინე, რომ ფიქრობდა ხოლმე, როგორღა გავფრინდები ცაში, როგორ მივატოვებო მევიოლინეს.

იჯდა ჩიტი გალიაში და ტიროდა.

მევიოლინე სევდიანი დადიოდა ქალაქში და ყველას ეკითხებოდა, პატარა ჩიტი ხომ არ გინახავთო.

— პატარა ჩიტების მეტი რა არის ამ ქვეყანად. შენ ის გვითხარი, რა ნიშანი ჰქონდა განსაკუთრებულიო, — ეუბნებოდნენ.

— ჩვეულებრივი პატარა ჩიტი იყო, ცაში უნდოდა აფრენა, სულ მაღლა, მაღლაო, — ამბობდა მევიოლინე.

გამვლელები ხელებს გაშლიდნენ, მხრებს აიჩეჩავდნენ და გაეცლებოდნენ...

გადაუწყდა იმედი მევიოლინეს.

იფიქრა, ალბათ აღარაა ცოცხალი, ვეღარ ვნახავო პატარა ჩიტს.

იმ საღამოს მან კვლავ აიღო ვიოლინო და გასწია მოედნისაკენ. აღარ მოუხმია ხალხისთვის, მომისმინეთო. დადგა შუა მოედანზე და აამღერა ვიოლინო სევდიანად.

თვალები დაეხუჭა. ოცნებაში ჩიტს ხედავდა და ცას.

უკრავდა მევიოლინე და ბოლოს, დაქანცულმა, თვალები რომ გაახილა, დაინახა — მთელ ქალაქს მოეყარა თავი მოედანზე.

საოცარი ჰანგებით მოხიბლულნი იდგნენ ადამიანები.

უყურებდა აღფრთოვანებულ სახეებს და მიხვდა მევიოლინე: ტყუილად ვეძებდი საოცარ ხეს ვიოლინოსთვის, მხოლოდ დიდი სევდა და სიყვარული ჰბადებსო საუცხოო ჰანგებს...

ყოველ საღამოს უკრავდა ის მოედანზე.

და ყოველ საღამოს უსმენდა მას მთელი ქალაქი.

დაკვრას რომ მორჩებოდა, დიდები მხოლოდ ამის თქმასღა ახერხებდნენ, რა მშვენიერი მუსიკააო, და ცრემლს მოიწმენდნენ. ბავშვები კი დაბრუნდებოდნენ თუ არა შინ, მიუჯდებოდნენ მაგიდას და ათასფრად მოელვარე ვარსკვლავებს ხატავდნენ რვეულებში.

მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ღამით ხდებოდა.

როცა ყველა დაიძინებდა, ვარსკვლავები სტოვებდნენ ბავშვების რვეულებს და ცისკენ მიფრინავდნენ.

ასტრონომებს ვერ გაეგოთ როგორ ჩნდებოდნენ ახალი ვარსკვლავები ცაზე. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეს რა ამბავია ჩვენს თავსაო. კამათობდნენ, ზოგი რა მოსაზრებას გამოთქვამდა და ზოგი რას.

ბოლოს მორიგეობა დააწესეს.

მთელი ღამე შეჰყურებდნენ ცას სათითაოდ. მაგრამ არ შეიძლება ერთი პირი ასტრონომსაც არ ჩაეძინოს და სწორედ ამ დროს სტოვებდნენ ვარსკვლავები მიწას.

ცას ვარსკვლავები ემატებოდა.

ქალაქში კი დიდ-პატარა გამუდმებით ღიღინებდა მევიოლინის მელოდიებს.

მოსვენება დაეკარგა მევიოლინეს მეზობელს.

ბრაზობდა მევიოლინეზე.

ბრაზობდა ქალაქზე, ბრაზობდა მთელ ქვეყანაზე. აღარ იცოდა სად დამალვოდა მუსიკას. ჩამოხმა ბრაზით. სულ გადაირია.

ბოლოს კედელს მიანარცხა ჩიტის გალია. მერე წაავლო ხელი ჩიტს და ქალაქის მოედნისაკენ გაიქცა.

იქ ვიოლინოს უსმენდა ხალხი.

ბოროტმა კაცმა მომაკვდავი ჩიტი წინ დაუგდო მევიოლინეს და ქალაქიდან გადაიხვეწა.

გადაიკარგა უგზოუკვლოდ...

მოედანზე მდუმარედ იდგა ხალხი.

კვდებოდა პატარა ჩიტი და მწარედ, ტიროდა ვიოლინო...

მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა.

იმ პატარა ქალაქის მოედანზე ახლა მევიოლინის ძეგლი დგას. ვიოლინო მოუმარჯვებია მევიოლინეს, თითქოს უკრავსო, მხარზე კი ჩიტი უზის.

ამბობენ, რომ ღამით, როდესაც ვარსკვლავი მოსწყდება ცას, მევიოლინე შეირხევა და ამოიკვნესებსო ვიოლინო. მაშინ შეიფრთხიალებს თურმე ბრინჯაოს ჩიტი და მიფრინავს ბნელში.

მიფრინავს ჩიტი, აიტაცებს ჩამოვარდნილ ვარსკვლავს და მიაქვს ცაში.

განთიადისას კი კვლავ უბრუნდება მევიოლინეს.

ამიტომაც არ აკლდებაო ვარსკვლავები ცას.



## იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვირდით ამ სურათს და მოგვწერეთ, რომელი ძეგლია ამ სურათზე გამოსახული, სად მდებარეობს და რა ისტორიულ მოვლენებთან არის იგი დაკავშირებული.

# კურორტი საირმე

### პასუხი № 8-ში მოთავსებულ კითხვებზე

„პიონერის“ № 8-ში მოთავსებულ ფოტოსურათზე გამოსახული იყო კურორტი საირმე. იგი მდებარეობს აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მდინარე წაბლარას ხეობაში, ზღვის დონიდან 915-950 მეტრის სიმაღლეზე.

ქ. ქუთაისიდან (საირმემდე 55 კილომეტრია) რიონის და მაიაკოვსკის გავლით საირმეში ჩასვლა შეიძლება საავტომობილო გზატკეცილით, რომელიც ჯერ მდ. ხანისწყალს მიჰყვება, შემდეგ კი — თვალწარმტაც წაბლარას ვიწრო და ღრმა ხეობას. მთების კალთები დაფარულია ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებით.

საირმის სამკურნალო ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუ მ ი ა ნ ი მინერალური წყლები ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცნობილი გახდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. მისი აღმოჩენა დაკავშირებულია მონადირეებთან და მწყემსებთან. იმ დროს საირმის ტყეებში უხვად იყო ირემი, შველი, გარეული თხა და სხვა ნადირი, რომლებიც ეტანებოდნენ საირმის მინერალურ წყალს. ამ გარემოებამ მისცა მონადირეებს საშუალება აღმოეჩინათ საირმის მინერალური წყლის ბუნებრივი წყაროები. კურორტისა და მისი მინერალური წყლების სახელწოდება ირემთან არის დაკავშირებული, — ირმები ძალზე ეტანებოდნენ ამ ტყეში გამომდინარე მინერალურ წყალს. დაახლოებით 1889 წელს სოფელ ზედა ზეგანში (მაიაკოვსკის რაიონი) მცხოვრებმა ნ. გორგაძემ და მწყემსმა გაბედავამ აღმოაჩინეს საირმის № 3 წყაროს წყალი. ათი წლის შემდეგ აღმოჩენილი იქნა საირმის № 1 წყარო. საირმის მინერალური წყლები თავისი ქიმიური ბუნებით ახლოს დგანან ბორჯომის წყლებთან. საირმის წყლებში კალციუმის არსებობა მას გარკვეულ თვისებებს ანიჭებს. ოქტომბრის რევოლუციამდე კურორტი საირმე ა. ერისთავის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ამიტომ კურორტის კეთილმოწყობას, ამ მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების შესწავლას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

1930 წელს საირმეში ავადმყოფებისათვის აშენდა ხის სახლი. ეს იყო პირველი ნაბიჯი კურორტის კეთილმოწყობისათვის.

ავადმყოფთა თვითდაკვირვების

შედეგად ხალხში ფართოდ იყო გავრცელებულია აზრი საირმის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ.

ამან დააინტერესა აკადემიკოსი ა. წულუკიძე და 1932 წლიდან იგი შეუდგა ამ კურორტის შესწავლას და ორგანიზებას. 1932-36 წლებში მან მოაწყო ექსპედიცია საირმის წყლების სამკურნალო თვისებების შესასწავლად.

საირმე საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და იგი კიდევ უფრო პოპულარული გახდა ხალხში.

ამჟამად კურორტზე ხის პატარა სახლების ნაცვლად აშენებულია ოთხსართულიანი სანატორიუმის ორი კორპუსი, პანსიონატი და სხვ. კურორტზე 700-მდე ორგანიზებულ ავადმყოფს შეუძლია ერთდროულად მკურნალობა; მათ განკარგულებაშია, კეთილმოწყობილი პოლიკლინიკა თავისი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო კაბინეტებით, კინო, ესტრადა, ბიბლიოთეკა, კაფე-სასადილო...

კურორტზე სამკურნალოდ უნდა ჩაივიდნენ ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც აქვთ თირკმლების ქრონიკული ანთება (პიელონეფრიტი), კენჭოვანი, მარილოვანი დაავადება და სხვა.

საირმის მინერალური წყლით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების დროს და ქრონიკული გასტრიტების შემთხვევებში. ამ დროს ავადმყოფმა უნდა დალიოს № 2, ან 3, ან 4 წყაროს წყალი. თირკმლების დაავადების დროს კი — № 1 ან № 3 წყაროს წყალი.

ავადმყოფს წყლის მიღებას უნიშნავს ექიმი. იგი ითვალისწინებს ავადმყოფის თირკმლების და გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას. ჭარბად მიღებულ მინერალურ წყალს დადებითი მოქმედების ნაცვლად შეუძლია ზიანი მოუტანოს ავადმყოფს. თვითნებურად მინერალური წყლის მიღება დაუშვებელია. გარკვეული დაავადების დროს რაციონალურად გამოყენებული საირმის მინერალური წყალი ეფექტური სამკურნალო საშუალებაა.

**ვ. გოგოშვილი,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**




ზურაბ ჭუმბურიძე

**რა გქვია შენ?**

საკუთარი სახელების შესწავლა ძალზე საინტერესოა: როგორ გაჩნდა ესა თუ ის სახელი, ან რას ნიშნავს იგი? რას ნიშნავს თუნდაც ისეთი ცნობილი და გავრცელებული სახელები, როგორიცაა თამარი და რუსუდანი, ირაკლი და გიორგი? ანდა საიდან წარმოსდგა გვარები: ასათიანი, მეტრეველი, ოძელაშვილი, ჩუბინიძე და მრავალი სხვა? რატომ ჰქვია ჩვენს დედაქალაქს თბილისი, კურორტებს — წყალტუბო და ბახმარო, მთებს — იალბუზი და თეთნულდი, მდინარეებს — რიონი და ენგური, ან რატომ ეწოდება მტკვარს — რუსულად კურა?

ქართული პიროვნულ და გეოგრაფიული სახელების შესახებ არსებობს ცალკეული გამოკვლევები, ბევრი ცნობა, დაკვირვება და ახსნა-განმარტება კი გაფანტულია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომელთა დიდი ნაწილი ნაკლებ ხელმისაწვდომია.

ეს წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა. მოკლედ და რაც შეიძლება მარტივად არის განხილული ქართული ონომატოლოგიის ზოგიერთი საკითხი.

შეიძინეთ ბავშვებო ეს წიგნი, მასში თქვენ მრავალ, თქვენთვის საინტერესო საკითხს იპოვნით.




გიორგი შატბერაშვილი

**კალოობა**

გიორგი შატბერაშვილმა ბევრი კარგი წიგნი დაგვიტოვა თქვენი თანატოლების დაუდგრომელ, ძიებით აღსავსე და ხალისიან ცხოვრებაზე... მაგრამ განსვენებული მწერალი ხომ ლექსებსაც წერდა! ამ ლექსებსაც თქვენი დიდი სიყვარული, თქვენს კეთილ მომავალზე ფიქრი შთააგონებდა. აბა გაიხსენეთ მწერლის რომელი ნაწარმოები იწყება ასე:

,,ნეტავ რა ხელმა ახარა
ამდენი ხე და ხეხილი,
ათასფრად აყვავებული,
ერთმანეთს გადაგრეხილი?

ფეხდაფეხ შემოვიარე
ამერ-იმერის მთა-ბარი,
გაოცებული ვკითხულობ,
ქვეყანაა თუ ზღაპარი?

ვნახე აფხაზთა ქვეყანა.
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი,
სამეგრელო თუ გურია,
აჭარა — მარად მწვანეთი..

იმერეთიდან გამოველ,
ვადიდე ქართლის სახელი.
კახეთს ვესტუმრე, არა ვარ
ასეთი კუთხის მნახველი.

შემოვიარე მესხეთი,
ბედნიერი და მზიანი —
უწინ ნარბევი მტერთაგან
აწ მორჩენილი იარით.

თუ არ გაგახსენდათ. გადაშალეთ ეს კრებული 32-ე გვერდზე.




მორის ფოცხიშვილი

**შინ და გარეთ**

სერია ,,ჩემი პატარა ბიბლიოთეკა'' დღითიდღე მდიდრდება. ეს პაწია წიგნები თავისი მკითხველებივით გულმართალი და სიკეთით სავსეებია.

პოეტის ეს ახალი წიგნი პატარებს კარგ გოგონებსა და ბიჭუნებთან ამეგობრებს. იმათთან, ვინც ბუდეს არ უშლის ჩიტუნებს, კატის მძინარე კნუტებს ძილს არ უფრთხობს და დედა-ბუნებით დალოცვილები თავის წილ შრომას და გარჯას ეწევიან.

თენგიზ პაჭურაშვილი

# შვინდის ხე და ძეძვი

ბალში ძეძვის ამონაყართან ახლოს შვინდმა გაიხარა. იუკადრისა ძეძვმა მისი მეზობლობა.

— ვაჟკაცივით რომ ამომიდექი გვერდში, ჩემით გინდა გაიტანო თავი? ჩემს მძლავრ იარაღს — მრისხანე ეკლებს გინდა შეეფარო? — მედიდურად გადასძახა მან შვინდის ხეს.

— თავს რატომ მამადლი! მე ჩემი სიკეთის იმედი მაქვს და თავსაც იმით გავიტან, — შეესიტყვა შვინდის ხე ძეძვს.

— აბა რა შეგიძლია შენა? თუ ასეთი ვაჟკაცი ხარ, იმ შიშველ მინდორზე ამოსულიყავი! იღბალი შენი, რომ გულკეთილი ვარ, თორემ დაუპატიჟებელი სტუმრობისათვის მაგრა განანებდი...

ერთხელაც იყო და, ბაღის პატრონმა შენიშნა შვინდისა და ძეძვის ამონაყრები. დაუგდო ბარი ძეძვს და ერთიანად ამოძირკვა. გულშეწუხებული ძეძვი შეევედრა თავის მეზობელს:

— მიშველე, თორემ ვიღუპებიო.

— როგორ, აქამდის მფარველადაც მოგქონდა თავი და ახლა შენს თავსაც ველარ იცავ? — მიაძახა ტრაბახა და გულღვარძლიან ძეძვს „დაუპატიჟებელმა სტუმარმა“.





# ჭარბი კაცის ბედი

ერთი გლეხი სახლს აშენებდა. ამოიყვანა კედლები, გადახურა სახურავი და გადაწყვიტა იატაკის დაგება. ერთ დღესაც, თავის მეზობელს ხის მასალაზე მოურიგდა. როცა შინ მივიდა, დაფიქრდა და გულში გაივლო: — გავუმტყუნდები, სხვისგან იქნებ უფრო იაფად ვიყიდოო. მეორე დღეს შეხვდა მეზობელს და უთხრა:

— ჩემს ცოლს უკვე უყიდია ფიცარი და შენთან უკაცრავად ვარო.

ერთხელაც იყო და, სახლის მშენებელი კიდევ მიადგა მეზობელს და შეეწუკვა:

— ჭერისთვის ფიცარი თუ გაქვს, მომყიდეო.

— გასაყიდად მინდა და როგორ არ მოგყიდიო, — უპასუხა მეზობელმა.

იაფად მორიგდნენ. მყიდველი სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა. მეორე დღეს ურმის ჭრიალით მიადგა იგი მასალის წამოსაღებად, მაგრამ მეზობელმა უთხრა:

— კაცო, შეგპირდი კი, მაგრამ ის ფიცარი მამაჩემს გაუყიდია და შენთან უკაცრავად ვარო.

მყიდველმა შეიტყო, რომ მეზობელს ფიცარი შინ ელაგა და არაფერიც არ გაეყიდა. ერთ დღეს, ამაზე გაბრაზებული, წინ შემოეყარა მასალის პატრონს და ბურტყუნით უსაყვედურა:

— რას მერჩოდი, თუ ღმერთი გწამს, რატომ მომატყუეო.

— აუგს რად ამბობ, როგორც შენმა ცოლმა იყიდა იატაკის მასალა, მამაჩემმაც ისე გაყიდა ჭერის ფიცარი. ხოდა, რაც დასთესე, კიდეც მოიმკე და ვის რაში ემდური, ველარ გამიგიაო, — უპასუხა მასალის პატრონმა.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ბუნების კარი

# ჭოტი და ჩხიკვები

ზამთარში, ახლად მოსულ თოვლზე, კარგად აღიბეჭდება ხოლმე გარეული ცხოველების კვალი, რომლის შესწავლა დიდად გვეხმარება მათი ცხოვრების წირის ამოცნობაში. სწორედ ასეთ თოვლში, ზამთრის ერთ მზიან დღეს გომბორის მთაზე საცალფეხო ბილიკს მივუყვებოდი. ერთგან, გზის ნაპირზე, კურდღლის ახალი ნაკვალევი ვნახე. კინოაპარატს შორს გადამღები ობიექტივი მოვარგე და ნაკვალევს გავყევი. ნაკვალევმა მარჯვნივ გადაუხვია და პანტის ტყეში შემიყვანა. კურდღელი პანტის გადაბერებულ ხის ძირებში დაცუნცულებდა და ჩამოცვენილ ფითრს შეექცეოდა. გამოძღა და ზევით, ხშირ ბუჩქნარს შეაფარა თავი.

ერთგან კვერნას ნაკვალევსაც შევხვდი, მას უფრო ადრე, ღამით ევლო. მცირე მანძილზე გავყევი. მაინტერესებდა ზამთარში რით იკვებებოდა. კვალმა ასკილის ბუჩქებთან მიმიყვანა. ჩანს, კვერნას ასკილი ჰყვარებია.

უცებ ჩალიან ბუჩქებიდან ჩხიკვის დაჟინებულმა ჩხავილმა მიიქცია ჩემი ყურადღება; გამოცდილებით ვიცოდი, რომ მისი ასეთი საქციელი რაღაც საფრთხესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ მივიხედ-მოვიხედე და საეჭვო ვერაფერი დავინახე. ვიფიქრე, ჩხიკვს იქნება ჩემი აქ გამოჩენა ეუცხოვა-მეთქი, მაგრამ ის მე სრულიადაც არ მაქცევდა ყურადღებას, ერთ ადგილას ტრიალებდა, უფრო ბუჩქებისაკენ იყურებოდა. მის ხმაზე რამდენიმე ჩხიკვი მოფრინდა და იმათაც ჩხავილი მორთეს. ტოტიდან-ტოტზე დახტოდნენ, ზოგჯერ ბარდებში შევარდებოდნენ, ისევ უკან ამოფრინდებოდნენ. ის პირველი ჩხიკვი კი ერთ ადგილზე იჯდა და უფრო ძლიერ ჩხაოდა, ტოტზე ირწეოდა, დროდადრო ნისკარტს ტოტზე უსვამდა, თითქოს ილესავდაო, ვიღაცას ემუქრებოდა და აქოჩრილი საბრძოლველად ემზადებოდა.

მე უფრო ახლოს მივედი ბუჩქთან, მაგრამ ჩხიკვებს არც მაშინ მოუქცევიათ ჩემთვის ყურადღება. ამან უფრო დამაეჭვა. ჩემი აზრით ამ ბუჩქებში რომელიღაც მტაცებელი უნდა ყოფილიყო დამალული. შეიძლება ცოფიანიც, რადგან ამ გზისპირა ადგილას უმიზეზოდ გარეული ნადირი არ გაჩერდებოდა. სიფრთხილე იყო საჭირო. მეც მოვემზადე და თოვლით დაფარულ ბუჩქნარში მომარჯვებული კინოაპარატით შევედი. ნელა, თანაც ძალიან ფრთხილად მივიწევდი წინ. განსაკუთრებით დაბლა ხის ძირებში ვიყურებოდი, იქ დაწოლილ მხეცს ვეძებდი, ჩხიკვებმა ჩხავილი შეწყვიტეს, თითქოს ახლა მე მაცალეს. უცბად ჩემს მაღლა ბუჩქი შეირხა, ბარდიდან ვეება ფრინველი აფრინდა და თავზე თოვლი გადამაყარა. გადაღება ვერ მოვასწარი. მოვტყუვდი, რომ მაღლა არ ვიხედებოდი, ვიცანი ბუების გვარის ყველაზე დიდი მტაცებელი — ჭოტი ანუ ზარნაშო იყო. ჩხიკვების გუნდი ჩხავილით უკან დაედევნა. იმედი მქონდა, რომ მათ ხმაურზე ისევ მივაგნებდი ჭოტს და ფირზე აღვბეჭდავდი. გულს არ ვიტეხდი.

მოულოდნელი იყო ჭოტის ამ მიდამოში გამოჩენა. სხვა დროს ის ყოველთვის უღრან ტყეში მინახავს, აქ კი ალბათ ნადირობაში შემოათენდა და თოვლიან ბარდებს შეაფარა თავი.

დღისით ჭოტი კარგად ვერ ხედავს და იმალება. ღამით კი მუსრს ავლებს ფრინველებს, სიძლიერით არწივს არ ჩამოუვარდება. თავს ესხმის შველისა და ირმის ნუკრებს, კურდღელსა და მელიას, ზოგჯერ სოფელშიც შეიჭრება ხოლმე და კატებსა და მათ კნუტებს იტაცებს. ამიტომ იყო, ჩხიკვები რომ მის აქ გამოჩენას განგაშით შეხვდნენ და თავგამოდებით ცდილობდნენ მის გაძევებას.



ბუჩქებიდან გამოვედი და ისევ ჩხიკვების ჩხავილს დავუგდე ყური. ისინი ქვევით, ღელეში ერთ პანტის ხეს უტრიალებდნენ. მეც საჩქაროდ იქით გავეშურე, შორიდანვე დავინახე ხის ტოტებში ჩამჯდარი ჭოტი, რომელსაც ჩხიკვები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ახლოს მისვლას მაინც ვერ ბედავდნენ. ერთი ჩხიკვი უფრო გამბედაობას იჩენდა, ერთიორჯერ სულ ახლოს ჩაუქროლა, თითქოს ბრჭყალიც კი გაჰკრა და ჩაუნისკარტა კიდეც.

საინტერესო ის იყო, რომ ამჟამად ჭოტი ჩხიკვებს ყურადღებას არ აქცევდა, მას თავი ძალიან მიამიტად და გულუბრყვილოდ ეჭირა. იგი ხის ტოტზე ერთ ადგილას წყნარად დაჟუნცულიყო და მხოლოდ ჩემკენ იყურებოდა; ბოროტი ზრახვებისაგან თითქოს განგებ იკავებდა თავს, დღისით მზისით, საქვეყნოდ არ უნდოდა დანაშაულის ჩადენა. გრძნობდა, რომ თანამოძმეებში ამით უფრო მეტ სიძულვილს დაიმსახურებდა და შემდეგ ველარსად დაიმალებოდა ვერც დღისითა და ვერც ღამით. ისევ დაღამებას ელოდა სიბნელეში სათითაოდ მოუგრეხდა კისერს ამ მაბეზღარა ჩხიკვებს, რომლებმაც მისი აქ ყოფნა ქვეყანას გააგებინეს.

ხის ძირამდე ისე მივედი, რომ ჭოტი არ აფრენილა. პირდაპირ მე მიყურებდა. მხოლოდ კინოაპარატის ხმაურზე დაფრთხა. ჩხიკვები, რომლებიც თითქოს ჩემს მისვლას ელოდნენ და მიახლოვებისას გაჩუმდნენ, გაფრენილ ჭოტს დაედევნენ, მათ ახლა ჩხართვებიც შეუერთდნენ და ჭოტი მასხარად აიგდეს, ახლო დაჯდომის საშუალება აღარ მისცეს, უფრო შორს გააძევეს. მეც ისევ კვალდაკვალ ავედევნე. ასეთი მოქმედება კიდევ რამდენჯერმე განმეორდა და ჩხიკვების წყალობით კინოსურათიც რამდენჯერმე გადავიღე. ჩხიკვებმა და ჩხართვებმა მოსარჩლედ ჩამთვალეს, ჩემს მიახლოვებაზე ჩუმდებოდნენ და ელოდებოდნენ ჭოტის აფრენას, შემდეგ კი ჟივილ-ხივილით ესეოდნენ. იმათ იგრძნეს, რომ ჭოტს ჩემი ეშინოდა და მე გამირბოდა.

საინტერესო ის იყო, რომ, როცა გამოვბრუნდი, რამდენიმე ჩხიკვი უკან დამედევნა და კარგა მანძილზე გამომყვნენ ჩხავილით, თითქოს ისევ უკან დაბრუნებასა და დახმარებას მთხოვდნენ.

იქნებ მკითხველსაც ჰქონდეს გარეულ ფრინველთა ან ცხოველთა ამდაგვარი ქცევა ნანახი. ნუ დაგვეზარებათ, მოგვწერეთ!

ალ. არაბული,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.




### ბუმბულის კოსტიუმი

პავლოვსკის მუზეუმში ინახება გედის ბუმბულისაგან დამზადებული კოსტიუმი. აქამდე ჯერ კიდევ არ არის გამოცნობილი თუ როგორ შესძლეს ბუმბულისაგან ქსოვილის მოქსოვა. გადმოცემით, ნადირობისას მეფის მონადირეებმა გედების გუნდი დახოცეს, ბუმბული მოაგროვეს და მოსკოვში, შეპეტოვის საქსოვ საწარმოში გაგზავნეს. იქ კი ნიჭიერმა ოსტატებმა ხელოვნების ეს უნიკალური შედევრები დაამზადეს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბუმბულის კოსტიუმი კინაღამ საზღვარგარეთ გააპარეს: საბაჟოს თანამშრომლებმა იგი ერთ-ერთი უცხოელის ჩემოდანში აღმოაჩინეს. მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერელებმა, რომელთაც პავლოვსკში მუზეუმი გაძარცვეს, გულმოდგინედ გაჩხრიკეს ყველა კუთხე-კუნჭული, რომ ხელში ჩაეგდოთ სახელგანთქმული კოსტიუმი, მაგრამ მის გზაკვალსაც ვერ მიაგნეს: საბჭოთა ადამიანებმა იგი საიმედოდ გადამალეს.



### ლამპების კოლექცია

პოლონეთის ნავთობმრეწველობის დედაქალაქის — კროსნოს მუზეუმი ათ წელზე მეტია ნავთის ლამპების კოლექციას აგროვებს. ეს კოლექცია ნაწილი იქნება ექსპოზიციისა, რომელიც მიეძღვნება ლამპის გამომგონებელს იგნაცი ლუკასევიჩს (1822-1882). პირველი ნავთის ლამპა პოლონეთის ქალაქ ლვოვში, საოპერაციო ჰოსპიტალში აინთო.

### ტყუილის ოსტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ წელს ტარდება ქოსატყუილების კონკურსი. წლევანდელ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა მღვდელმა ჰოულმა. მან ჟიურის წევრებს ასეთი რამ უამბო: „გაზაფხულზე მისისიპი ისე ძლიერ ადიდდა, რომ კუები თავიანთი ბაკნებიდან გამოძვრნენ და მათ ნავებად ხმარობდნენ“. მეორე ადგილზე გამოვიდა ფრანკ მერშანი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენს სოფელში დრო ისე ნელა მიდის, რომ ერთი და იგივე კალენდრით ზედიზედ ორი წელიწადი ვსარგებლობთ“.

### ჩიტების ნაცვლად — ფიტული

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდის პარკის ხეებზე ჩიტების ფიტულები დადგეს, ვინაიდან ცოცხალი ჩიტები აქ უკვე დიდ იშვიათობას წარმოადგენს. თუ ვინმეს ჩიტის გალობის მოსმენა მოუნდება, მან ხეზე კნოპს უნდა დააჭიროს თითი: მაშინვე გაისმება მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ჭიკჭიკი.

### მართლაც რომ მაიმუნია

ერთ-ერთი ზოოპარკიდან რამდენჯერმე გაიქცა მაიმუნი. საოცარი ის იყო, რომ მაიმუნის ვოლიერი წყლით სავსე დიდი ხრამით იყო შემორტყმული, მისი გაცურვა კი მაიმუნს არ შეეძლო. სადგომში იძულებით დაბრუნებულ მაიმუნს ბოლოს დაუდარაჯდნენ და აი რა ნახეს: ალიონზე მაიმუნმა დაიკავა ხელში ბანანი და კარგა ხანს უქნევდა გაღმა ნაპირზე მობალახე ლოსს. ლოსმა დაინახა ეს და წყალი გადაცურა. მაიმუნმა ბანანი ლოსს მიაწოდა, თავათ კი უსწრაფესად შეახტა ზურგზე. ლოსი გაღმა გაბრუნდა და ეშმაკი მაიმუნიც თან გადაიყვანა.

### შეიძლება თუ არა თევზი ჩაიძიროს?

ნუ გაიკვირვებთ ამ კითხვას — შეიძლება! ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მეცნიერებმა დაიჭირეს თევზი, რომელიც ატმოსფეროს ჰაერით სუნთქავს. ამ თევზს აქვს ჰაერის „რეზერვუარი“ და თუ მან მისი ავსება ვერ მოასწრო — იძირება, თითქოს ხმელეთის ცხოველი იყოს!

### ნათურა სპილოს სხეულზე

შარშან ინდოეთის ქალაქ კალკუტაში გამოაცხადეს ქუჩაში მოძრაობის ახალი წესები. ამ წესების თანახმად, გაწვრთნილი სპილოების პატრონებმა თავიანთი ცხოველების სხეულზე აუცილებლად უნდა მოათავსონ სასიგნალო ნათურა. ეს ნათურა პორტატული ბატარეით უნდა მუშაობდეს.

ამ წესების შემოღების საბაბი გახდა ხალიჩების რულონებით დატვირთული სპილოს დაჯახება ორსართულიან ავტობუსთან.



### ამერიკიდან აფრიკაში

ბოტანიკოსთა გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ამჟამად აფრიკის კონტინენტის მცენარეულობათა მესამედი ამერიკული წარმოშობისაა. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკიდან არის შეტანილი აფრიკაში კარტოფილი, სიმინდი, ანანასი, პომიდორი, ვანილი, კაკაო და ქოქოსის პალმა, მაგრამ უფრო მეტად — სარეველები. მაგალითად, ბრაზილიიდან აფრიკაში შემთხვევით მოხვდა ათობით სხვადასხვა სარეველა, ბრიტანეთის გვიანადან კი — წყალმცენარეები, რომელთაც ისე იხარეს მდინარეებში, რომ იქ ნაოსნობას ძალიან უშლიან ხელს.



### ანკესს ორჯერ არ მოედება

იტყვიან ხოლმე, თევზი ანკესს მეორედ არ მოედებაო. სინამდვილეში მართლაც ასეა? თევზი მართლაც იძენს ამ მწარე გამოცდილებას? ამის შემოწმება ჰოლანდიელმა სწავლულმა ჟ. ბეიკამმა ითავა.

ბეიკამმა რამდენიმე გუბურაში კობრები გაუშვა. შემდეგ, 8-10 დღის მანძილზე, განუწყვეტლივ იჭერდა მათ. როგორც კი კობრი ანკესს მოედებოდა, მას იქვე რაიმე ნიშანს ადებდა და კვლავ წყალში უშვებდა.

ყველაზე მეტი პირველ დღეს იქნა დაჭერილი, მეორე და მესამე დღეს — ნაკლები. მეშვიდე, მერვე დღეს კობრი გაურბოდა ანკესს. თევზმა მართლაც შეიძინა გამოცდილება და უფრო „ჭკვიანი“ გახდა.

ცდები გრძელდებოდა. „ცხოვრებისეული გამოცდილების“ მქონე კობრებს სხვა თანამოძმე, გამოუცდელი თევზები შეურიეს. გავიდა ერთი წელიწადი. ნიშანდადებული თევზები ოთხჯერ ნაკლები ედებოდა ანკესს, ვიდრე „გაუთვითცნობიერებულები“. მაშასადამე, ბევრ კობრს ერთი წლის შემდეგაც არ დავიწყებოდა მწარე გაკვეთილი.

### სენსაციური ნაპოვნი

ამას წინათ ანტარქტიდაში აღმოაჩინეს მინერალიზებული ტორფი, რომლის ხნოვანება 250-300 მილიონი წელია. მასზე კარგად ჩანს მცენარეთა ანაბეჭდები. ეს ჭეშმარიტად სენსაციური ნაპოვნია: თურმე ოდესღაც ანტარქტიდაში — ამ მთლიანად ყინულოვან კონტინენტზე — მცენარეულობა ყოფილა!

# ცოცხალი წვიმა

(მეზღვაურის ნაამბობი)



აგვისტო ილეოდა. შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მდინარე კარჩიას შესართავთან გემი გაჩერდა. უცებ ამინდი შეიცვალა, — დასავლეთიდან ქარიშხალი ამოვარდა და თან წამოიღო შავ-ყვითელი მტვერი. ატყდა ჭექა-ქუხილი, დასცხო კოკისპირული წვიმა...

ჰოი, საოცრებავ! თვალს არ ვუჯერებდით, როცა წვიმასთან ერთად ციდან წვრილმა თევზებმა, კიბოებმა და თავკომბალებმა დაიწყო ცვენა.

„ცოცხალი წვიმა“ ათი წუთი გაგრძელდა. ნაპირთან ერთი მოხუცი კაცის სახლი იდგა, გადაიღო თუ არა წვიმამ, იმისმა პატარა შვილიშვილმა მოკრიფა თევზები, კიბოები და გუბეში ჩაყარა. ზოგი მათგანი გამოცოცხლდა. — ცურვა დაიწყო, ზოგი კი გაგუდულიყო.

ბერიკაცმა გაიხსენა რომ ასეთი „ცოცხალი წვიმა“ სხვა დროსაც ენახა. ეს ხდება, უმეტესად დიდი გვალვების შემდეგ, როცა ამინდი უეცრად იცვლება. ამ დროს ქარბორბალა დატრიალდება ხოლმე რომელიმე ტბაზე, მდინარეზე ან ზღვაზე, სადაც დიდი რაოდენობითაა წყლის პატარა ცხოველები, წყალთან ერთად აიტაცებს ცაში, გადაიტანს სადმე შორს და იქიდან წვიმასთან ერთად ძირს ცვივა.

რ. ელანიძე.



ვთქვათ, ლაშქრობის დროს მდინარემ ან ტბამ გადაგიღობათ გზა, როგორ უნდა მოიქცეთ? როგორ და პატარა ტივი უნდა გააკეთოთ, აი, ასეთი როგორც ამ ნახაზზეა მოყვანილი. მისი უპირატესობა ის არის, რომ ძალიან იოლი გასაკეთებელია. შეაერთეთ ორი მორი (სიგრძე — 5,6-მ-მდე) ნახევარმეტრიანი ძელებით. ლურსმნების მოვალეობას სოლები გაგიწევს, დასაჯდომი შუაზე გაპობილი მორისაგან გააკეთე, ზედვე დაასვი ორკაპა ჯოხები და უბრალო ნიჩბები დაამაგრე. ახლა ისღა დაგრჩენია, რომ ნიჩბები ყოჩაღად მოუსვა, ოღონდ არასოდეს დაივიწყოთ — წყალთან თამაში არ ვარგა, მუდამ ფრთხილად უნდა იყოთ...

ალბათ მოულოდნელი და უცნაურია, მაგრამ დახეთ რა იოლი ყოფილა ჩიბუხებით ბრას გაკეთება. ჩიბუხის ფორმა თითქმის თავისთავად იძლევა სტიმულს, რომ შიგ სანთელი ჩადო. ჩიბუხის მეორე ბოლოს ფიცარში ჩამაგრება, ცხადია, ძნელი არ არის.

წყლის ტემპერატურის საზომი შიშველი თერმომეტრი სითხეში ჩაშვებისას იოლად იმსხვრევა ხოლმე, წამოაცვით თერმომეტრის ვერცხლისწყლიან თავს რეზინის მილი (ოღონდ მილს წინასწარ „ფანჯრები“ გაუკეთეთ) და თერმომეტრი აღარ დაზიანდება.

ლითონის ღერძულამ ისე მკვრივად იცის ფოსოში ჩამაგრება, რომ ამოძრობა ძალიან ჭირს. შემოახვიეთ ღერძს მაგარი ბაწარი, ყულფში რკინის ჯოხი დაუტანეთ და ღერძულას გაცილებით მსუბუქად მოატრიალებ, ბაწარმა რომ კარგად მოიკიდოს პირი, ურიგო არ იქნება თუ დეტალს სილას წააყრით.

ხის იატაკი თუ ჭრაჭუნობს, მისი „გაჩუმება“ არც ისე ძნელია. ამობურღეთ ფიცრებს შორის 45 გრადუსის დახრილობის 6-8 მ-იანი ნახვრეტი და შიგ წებოიანი სოლი ჩაასვით. ამოშვერილი ნაწიბურები გაასწორეთ და საგოზავი წაუსვით.

200-230 მმ. სიფართისა და 15-20 მმ. სისქის 8 ფიცარი კარგად გააშალაშინეთ, კიდეები მოუკუთხავეთ, ერთმანეთს მიაწებეთ და წიგნის თაროს კედელზე მიმაგრებაში დასჭირდება.














# ნოემბერი

ამ თვის სახელწოდება წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან — „ნოვემ“-ისაგან, რაც ცხრას ნიშნავს. ნოემბერი ძველი რომაული კალენდრით მეცხრე (და არა მეთერთმეტე) თვე იყო. ინგლისურად, ჰოლანდიურად, დანიურად და შვედურად მას ნოემბერი ეწოდება; იტალიურად და ფრანგულად — ნოვემბერე; ლათინურად — ნოვემბერ; ძველსერბიულად, ხორვატულად და დოლმაციურად — სტუდიონი; სერბიულად — სტუდენი; უკრაინულად — ლისტოპად; პოლონურად, ჩეხურად, ბულგარულად — ლისტოპად, ლისტოპადენ, პადოლისტ.

პირველ ნოემბერს იმართებოდა ე. წ. „ქათმის დღესასწაული“. მეზობლები და ნათესავები ერთმანეთს შერჩეულ ქათმებს აჩუქებდნენ ხოლმე. ნაჩუქარ ქათამს არასოდეს არ ჰკლავდნენ. ჰკლავდნენ „ჩვეულებრივ ქათმებს“ და მათ ფეხებს სახურავზე ისროდნენ, რათა ოჯახში ქათმის ჯილაგი არ გადაშენებულიყო. ჩრდილოეთის ქვეყნებში 24 ნოემბერს ზამთრის დღესასწაულები იმართებოდა: დასრიალებდნენ მორთულ-მოკაზმული მარხილებით, იყო ჯვარისწერა და დიდი მხიარულება.

ჩვენი პლანეტის ზედაპირზე ორი პოლუსის შუაზე გატარებულია პირობითი ხაზი, ე. წ. ეკვატორი.



ეკვადორის დედაქალაქ კიტოდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით, პანდოს ველზე, იქ, სადაც ეკვატორის ხაზი გადის, აღმართულია ეს იშვიათი ძეგლი — ოთხკუთხა ობელისკს თავზე ოქროს რკალშემორტყმული

## ძეგლი ეკვატორს

ქვის ბურთი აქვს დადგმული, ესაა დედამიწისა და წარმოდგენითი ხაზის — ეკვატორის — სიმბოლური გამოხატულება.

ობელისკს ერთ მხარეს აწერია:

„ძეგლი ეკვატორს.

პირამიდული ობელისკი ისეა დადგმული, რომ მისი ერთი ნახევარი ჩრდილო ნახევარსფეროშია, მეორე კი — სამხრეთში, ეს ძეგლი ორასი წლის წინათ არის აგებული (იხ. ნახატი).

## სარჩევი


პრილეჟაევა მ. — სმოლნში. (მოთხრობის ნაწყვეტი) . . 1
ბახტაძე ბ. — ვისაც ომის დროს ყელსახვევი გვეკეთა (მოგონება) . . 4
გორგანელი ვ. ფორე და იტალიელი ბიჭი (ლექსი) . . 5
ჭილაშვილი ქ. — მარცვალა და ხარისთვალა . . . . . . 6
ცერცვაძე ქ. — ჩვენი დედაენა მოძმეთა მიწა-წყალზე (ნარკვევი) . . 10
პაუსტოვსკი კ. — მიძინებული ბიჭი (მოთხრობა) . . . 15
ე. ლონდარიძე — ქართული მუსიკის ბერმუხა (წერილი) . 18
დრიძო ა. — ბიჭი მამაკაცი ხდება (წერილი) . . 21
პეტრიაშვილი გ. — ამბავი მევიოლინესი და პატარა ჩიტისა (ზღაპარი) . . . . . . . . . . . . . 24
იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს . . 26
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . 27
პატურაშვილი თ. — არაკები . . . . . . . . 28
არაბული ალ. — ჭოტი და ჩხიკვები . . . . . . . 29
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . . . 30
ელანიძე რ. — ცოცხალი წვიმა — (მეზღვაურის ნაამბობი) . 31
გამოგადგება — . . . . . . . . . . . . 31
ცხრაკლიტული . . . . . . . გარეკ. 3



გარეკანი დახატა მხატვარმა იური კლიბაძემ

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-0
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/IX-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-71 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 3306. ტირ. 124.065. უე 02173.

ფასი 20 კაპიკი


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი

თ ა რ ა ზ უ ლ ა დ:

2. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი; 6. ზღვა საბჭოთა კავშირში; 7. ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 8. ხილი; 14. მანქანების დამამზადებელი საწარმო. 15. ქალაქი პირინეის ნახ. კუნძულზე; 17. ფულის საზომი ერთეული; 18 ვაჟა-ფშაველას მოთხრობა; 19. მეომრის ტანსაცმელი; 22. წონის საზომი ერთეული; 23. მეცნიერება კაცობრიობის განვლილი გზის შესახებ; 24. წოდება ძველ საქართველოში. 25. შინაური ფრინველი; 29. სუნთქვის ორგანო; 30. „რუსლანი და ლუდმილას“ გმირი; 35. ქვეყნის ნაწილი; 37. ინგლისელ გლეხთა ერთერთი აჯანყების მეთაური; 38. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 39. პატარა ხაზი; 40. გარეული ფრინველი; 41. საშუალო სასწავლებელი, ანუ? 42. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში; 45. დიდი ქართველი რევოლუციონერი; 46. ქართული გაზეთი; 47. მდინარე ციმბირში; 49. წყნარი, მშვიდი, ანუ? 51. სამარი მანქანა; 52. დამატების სახე.



შ ვ ე უ ლ ა დ:

1. წერტილი, სადაც იმყოფება რაიმე საგანი, ან მიმდინარეობს რაიმე მოქმედება; 2. წყალზე მიმოსვლის საშუალება; 3. მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. ეროვნება სსრკ-ში; 5. ფულის შესანახი ადგილი; 9. წყლის ტრანსპორტი; 10. მუშაობის შესრულების უნარი; 11. მწვერვალი კავკასიონზე; 12. ულრანი, გაუვალი, ანუ? 13. დაბა ქართლში; 16. წელიწადის თვე; 20. ხეზე ტოტების სიხშირე, ანუ? 21. ქიმიური ელემენტი; 22. ხშირი ტყით დაფარული ადგილი სსრკ აღმოსავლეთ ნაწილში; 26. სახელმწიფო აზიაში; 27. ნელი ქარი ანუ? 28. ციფრი; 31. ყვავილი; 32. გულის თანაბარი ფეთქვის დარღვევა; 33. დამრეცი ადგილი; 34. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი; 36. ხილი; 39. „გოგია უიშვილის“ პერსონაჟი; 43. ჩვილის საწოლი; 44. განთიადი, ანუ? 48. სახელმწიფო ევროპაში; 50. მდინარე საქართველოში; 51. რაიმე ხელსაწყოს ხელისმოსაკიდები.

რ. მარცვალაშვილი,
დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგლის რვაწლიანი სკოლის მოსწავლე.



## აბა, ვინ მოისაზრებს!

მდინარის ნაპირთან ნავი იდგა, მასში ორი კაცის ადგილი იყო. მდინარეს ოთხნი მოადგნენ. მეორე ნაპირზე, სხვის დაუხმარებლად გადავიდა ოთხივე და ნავი ძველ ადგილზე დარჩა. შეიძლებოდა თუ არა ეს მომხდარიყო?

შეცდომის გასწორება. ბავშვებო! პიონერის № 10-ში შეცდომით დაიბეჭდა კროსვორდის სხვა ნახაზი. ვბეჭდავთ იმ კროსვორდის ნახაზს.



## პასუხი № 10-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

კროსვორდი

თ ა რ ა ზ უ ლ ა დ:

1. არამისი; 4. რაინი; 6. კორსიკა; 9. ალტაი; 13. ალო; 15. ჩაი; 16. ორი; 17. ალი; 18. იკაროსი; 19. ამერიკა; 22. მწევარი; 23. იახტა; 24. ოფოფი; 25. უნაგირი; 27. კილიმანჯარო; 28. ბუკი; 30. იხვი; 31. კიბო; 33. აისი; 34. ტულა; 35. ისლი; 37. ლალი; 38. ინდი.

შ ვ ე უ ლ ა დ:

2. ერა; 3. ბახმარო; 5. ათენი; 6. კრაკოვი; 7. ოკა; 8. მარსელი; 10. ისკარა; 11. ინერცია; 12. იმერელი; 14. ჭადრაკი; 20. რკო; 21. ისანი; 24. ომსკი; 26. კავაზაშვილი; 28. ბალი; 29. იორი; 31. კალა; 32. ორბი; 34. ტალი; 36. ადლი; 37. ლისი; 39. იოდი. 40. უმი.

შარადა.

ლიახვი.


1979
გამოიწერე
გამოიწერე
სასურველია ჟურნალი გამოიწეროთ მთელი წლით
გამოვა 12 ნომერი
თორმეტი ნომრის ღირებულება 2 მანეთი და 40 კაპიკია
ИНДЕКС